

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თამარ რაზმაძე

მეუღლეთა თანასაკუთრების სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე

სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლია ჭილაშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი

გორი

2019

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია მეუღლეთა თანასაკუთრებასთან დაკავშირებული სამართლებრივად მნიშვნელოვანი საკითხები. კერძოდ, მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველი, მეუღლეთა უფლება-მოვალეობები თანასაკუთრებისას, როგორც დღეს მოქმედი კანონმდებლობის, ისე ისტორიულ ჭრილში, მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის წესი და მასთან დაკავშირებული თავისებურებანი.

ნაშრომში განხილულია საზოგადოებისათვის ისეთი აქტუალური და პრობლემური საკითხები, როგორცაა ქორწინების პერიოდში შეძენილ უძრავ ნივთზე მეუღლეთა თანასაკუთრება, ამ თანასაკუთრების გაყოფის წესი და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეთა მიერ, ერთად ცხოვრების პერიოდში, შეძენილი ქონების სამართლებრივი ბედი.

წარმოდგენილი საკითხები შესწავლილია საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მაგალითებზე. ასევე, ცალკეულ საკითხებთან მიმართებით გამოყენებულია სხვა ქვეყნის მაგალითებიც.

ამასთან, ნაშრომში საუბარია მასში განხილული პრობლემური საკითხების მოგვარების შესაძლო გზებზე.

Annotation

Tamar Razmadze

The present Master thesis deals with the legally important issues related to matrimonial property regime. Specifically, in this thesis, here is discussed the basis of origin for the matrimonial property regime, the property rights and obligations of spouses, in the current legislation and historical context, the rule of dividing the common property of spouses and the peculiarities associated with it.

In the thesis is discussed the current problematic issues of society, such as the spouses ownership on the real estate, which is acquired during marriage, the rule of dividing this ownership and the legal nature of the estate, which is acquired by the non-registered spouses, during in their lifetime.

Issues, presented in this thesis are discussed in the example of Georgian legislation and court practice. Also, the examples of other countries have been used in relation to individual issues.

In addition, the thesis deal with possible ways of solving the problematic issues discussed in it.

სარჩევი

შესავალი.....	4
თავი I. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა.....	8
1.1. მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი	8
1.2. მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობები თანასაკუთრებისას.....	15
1.3. ქორწინების განმავლობაში შეძენილ უძრავ ნივთზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების სამართლებრივი ბუნება	21
1.4. თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა და მასთან დაკავშირებული გარიგებები.....	30
თავი II. მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის წესი.....	33
2.1. მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის სამართლებრივი საფუძველი	33
2.2. მეუღლეთა საერთო ვალი და თანასაკუთრება.....	36
2.3. არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინება თანასაკუთრების გაყოფისას	38
2.4. მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის სახელშეკრულებო რეჟიმი.....	40
თავი III. რეგისტრირებული ქორწინების მნიშვნელობა მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფისას და მასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა	42
თავი IV. მეუღლეთა თანასაკუთრების მომწესრიგებელი ნორმები სხვა ქვეყნების მაგალითზე	50
დასკვნა	56
ბიბლიოგრაფია.....	59

შესავალი

კაცობრიობის შეგნებული არსებობის ისტორიიდან ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი საზოგადოებრივი ინსტიტუტი ოჯახია, სადაც ადამიანის აღზრდა და პიროვნებად ჩამოყალიბება ხდება.¹ აღნიშნული ინსტიტუტი ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო, მისი ყოფითი მნიშვნელობიდან გამომდინარე² და იგი დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

საოჯახო ურთიერთობათა განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ მატერიალურ ბაზაზე, რაც საფუძვლად ედება ოჯახის შექმნას.³ მეუღლეებს თავიანთ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სჭირდებათ განსაზღვრული ქონება,⁴ რის გამოც აუცილებელია კანონმდებელმა იმგვარად მოაწესრიგოს მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობები, რომ თანაბრად იყოს დაცული მათი ქონებრივი ინტერესები. დღეს მოქმედ საოჯახო კანონმდებლობაში ამ კუთხით ვაწყდებით გარკვეული სახის პრობლემებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება⁵, რაც შესაბამისად, წარმოადგენს მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველს⁶. კანონმდებელი თანასაკუთრებად მიიჩნევს მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებას, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული⁷ და ადგენს, რომ ასეთ ქონებაზე თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას,

¹ გეგენავა დ., ჯვრისწერის აღიარების პრობლემები ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში, სამართლის ჟურნალი, №1, 2015, 359.

² იქვე.

³ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2015, 117.

⁴ იქვე, 117-118.

⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლი.

⁶ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004, 131.

⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილი.

უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.⁸

ფაქტობრივი ქორწინება, რეგისტრირებულისგან განსხვავებით, არ წარმოშობს მეუღლეებისთვის სასურველ სამართლებრივ შედეგებს.⁹ მათ შორის ურთიერთობაში არ მოქმედებს მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების რეჟიმი, ერთად შექმნილი ქონება საერთო წილობრივ საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეთ.¹⁰ მეუღლე, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა ქონების შექმნაში, მაგრამ ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი სამართლებრივად დაუცველი ხდება. ასეთ ქონებაზე დავის არსებობისას სასამართლო ვერ იხელმძღვანელებს თანასაკუთრების გაყოფისთვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმებით. კანონმდებელი ყურადღებას არ ამახვილებს ქორწინების რეგისტრაციის გარეშე ფაქტობრივად თანაცხოვრების ხანგრძლივობა, საერთო მეურნეობის გაწევის ფაქტი, რაც სერიოზულ პრობლემას ქმნის, ვინაიდან მოსახლეობის უმრავლესობა ქორწინების რეგისტრაციას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს, ან არ იცის მისი სამართლებრივი მნიშვნელობის შესახებ.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამოქალაქო კოდექსი ერთი მხრივ, არ აღიარებს ფაქტობრივ ქორწინებას, ხოლო მეორე მხრივ, მხოლოდ რეგისტრაციის ფაქტს არ უკავშირებს სამართლებრივ შედეგებს. მაგალითად, ბათილია რეგისტრირებული ქორწინება, რომელიც არ ისახავს მიზნად ოჯახის შექმნას¹¹. ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებით მეუღლეს შეიძლება ჩამოერთვას კანონით მემკვიდრეობის უფლება, თუ დადასტურებული იქნება, რომ ქორწინება მამკვიდრებელთან ფაქტობრივად სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ სამი წლისა შეწყვეტილი იყო და მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ.¹²

⁸ იქვე, 1158-ე მუხლის მეორე ნაწილი.

⁹ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2015, 56.

¹⁰ იქვე.

¹¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1140-ე მუხლის პირველი ნაწილი.

¹² იქვე, 1341-ე მუხლი.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში¹³ განმარტა, რომ ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა მიერ შეძენილ ქონებაზე თანასაკუთრების რეჟიმის დაწესებით, კანონმდებელი ხელმძღვანელობს იმ ვარაუდით, რომ როგორც წესი, ასეთი ქონება იქმნება მეუღლეთა ერთობლივი სახსრებით, საოჯახო მეურნეობის ერთობლივი გაძლიერებითა და ერთობლივი შრომით, მიუხედავად იმისა, ვის სახელზეა იგი შეძენილი ან რომელი მეუღლის მიერ არის გადახდილი თანხა. შესაბამისად, მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების (თანასაკუთრების) გაყოფისას, მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის არსებობა არ იწვევს სამართლებრივ შედეგებს, აუცილებელია მეუღლეთა ერთ ოჯახად ცხოვრება, ქონების შეძენა უნდა მოხდეს ოჯახის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. ამდენად, მეუღლეთა ფაქტობრივი თანაცხოვრება სამართლებრივ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების არსებობისას, თუმცა მისი როლი და მნიშვნელობა მაინც იკვეთება.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი არ თვლის საჭიროდ ან არ ჩქარობს ქორწინებისთვის სამართლებრივი სახის მიცემას, სამართლებრივ რეგულირებას იმსახურებს იმ პირთა მიერ ფაქტობრივი თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების ბედი, რომლებსაც აკავშირებთ ხანგრძლივი თანაცხოვრება, ეწევიან საერთო მეურნეობას და ქონება შეძენილი აქვთ ოჯახის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. დგება საკითხი რამდენად სამართლიანია მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის არარსებობის გამო ასეთი ქონება დარჩეს მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფისათვის დადგენილი წესების მიღმა.

ნაშრომის მიზანია საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე მეუღლეთა თანასაკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, ამ საკითხზე არსებული პრობლემების წარმოჩენა, მათი გადაჭრის შესაძლო გზების ძიება და ჩვენეული მოსაზრებების შეთავაზება.

¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განჩინება № ას-7-7-2016.

კვლევის მეთოდებიდან გამოყენებულია დოგმატურ-სამართლებრივი, შედარებით-სამართლებრივი, ისტორიულ-სამართლებრივი მეთოდები და ასევე ჰერმენევტიკა.

ნაშრომი შედგება ანოტაციის, შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან. პირველი და მეორე თავები დაყოფილია ქვეთავებად. ნაშრომს თან ერთვის ბიბლიოგრაფია.

შესავალ ნაწილში საუბარია საკვლევი თემის აქტუალობაზე, მიზანზე, გამოყენებული კვლევის მეთოდებზე და განხილულია ნაშრომის სტრუქტურა.

პირველ თავში განხილულია თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველი, როგორც დღეს მოქმედი კანონმდებლობის, ისე ისტორიულ ჭრილში, მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობები თანასაკუთრებისას, მისი განკარგვის წესი და მასთან დაკავშირებით დადებული გარიგებები. ასევე, საუბარია ქორწინების განმავლობაში შეძენილ უძრავ ნივთზე მეუღლის თანასაკუთრების უფლების სამართლებრივ ბუნებაზე.

მეორე თავი ეთმობა მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის კანონისმიერ და სახელშეკრულებო რეჟიმს. სასამართლო პრაქტიკასა და კანონმდებლობაზე დაყრდნობით, საუბარია თანასაკუთრებისას მეუღლეთა საერთო ვალის ბედზე და თანასაკუთრების გაყოფისას არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობაზე.

მესამე თავში განხილულია თანასაკუთრების გაყოფასთან დაკავშირებით წამოჭრილი პრობლემები, რომელიც უკავშირდება რეგისტრირებულ ქორწინებას.

მეოთხე თავში განხილულია მეუღლეთა თანასაკუთრების მომწესრიგებელი ნორმები სხვა ქვეყნების მაგალითზე.

დასკვნაში კი განხილულია საკვლევი თემის შესწავლისას წამოჭრილი პრობლემები და კვლევის შედეგები.

თავი I. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა

1.1. მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს მეუღლეთა შორის წარმოშობილ პირად და ქონებრივ ურთიერთობებს. პირადთან შედარებით ქონებრივი ურთიერთობები, რომლებიც ჩვენი კვლევის საგანია უფრო დეტალურადაა მოწესრიგებული სამართლებრივი ნორმებით.¹⁴

ქონებრივია ყველა ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია განსაზღვრულ ქონებასთან, მის მფლობელობასთან და განკარგვასთან.¹⁵ ქონებაში იგულისხმება ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობაც და განკარგვაც შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.¹⁶

მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: 1. მეუღლეთა საკუთრებითი, ანუ მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებასთან დაკავშირებული ურთიერთობები; 2. ერთმანეთის მატერიალურ რჩენასთან დაკავშირებული ურთიერთობები (საალიმენტო ვალდებულებები).¹⁷

ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს მეუღლეთა საკუთრებითი ურთიერთობები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს მეუღლეთა საერთო ქონების - თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივ საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, მეუღლეთა საერთო ქონებას (თანასაკუთრებას) წარმოადგენს მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

¹⁴ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2015, 111.

¹⁵ იქვე, 118.

¹⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლი.

¹⁷ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004, 124.

ამასთან, ასეთ ქონებაზე, მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.¹⁸ ამდენად, მნიშვნელოვანია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დადგინდეს საპატიო იყო, თუ არა შემოსავლის არქონის მიზეზი.

მეუღლეთა თანასაკუთრების სუბიექტები შეიძლება იყვნენ მხოლოდ მეუღლეები, რაც ნიშნავს იმას, რომ სსკ-ის 1158-ე მუხლი გამოიყენება არა ზოგადად საერთო საკუთრების დროს, არამედ უშუალოდ მეუღლეთა თანასაკუთრების მიმართ და ამ მხრივ სპეციალურ ნორმას წარმოადგენს.¹⁹

მეუღლეთა შორის უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება, რაც შესაბამისად, წარმოადგენს მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველს.²⁰ ქალისა და მამაკაცის კავშირი, თუ იგი რეგისტრირებული არ არის შესაბამის სახელმწიფო ორგანოში, იურიდიული თვალსაზრისით, ქორწინებად არ ითვლება, წარმოადგენს ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრებას და მათ შორის ურთიერთობაში არ მოქმედებს მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების რეჟიმი. ერთად შეძენილი ქონება მათ საერთო წილობრივ საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეთ, რაც არსებითად განსხვავდება მეუღლეთა თანასაკუთრებისგან.²¹

მეუღლეთა თანასაკუთრების ინსტიტუტის და მასთან დაკავშირებული საკითხების დღეს მოქმედი კანონმდებლობის ჭრილში განხილვამდე, მნიშვნელოვანია თვალი გადავავლოთ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებას რომაულ სამართალსა და ძველ ქართულ სამართალში.

რომაულ სამართალში მეუღლეთა ქონებრივი მდგომარეობა განსხვავდებოდა იმის მიხედვით, თუ როგორი ტიპის ქორწინება იყო სახეზე. რომის სამართლის თანახმად, ქორწინების ორი ტიპი არსებობდა: ქმრის ხელით (*cum manu mariti*) და ქმრის ხელის

¹⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

¹⁹ ქანთარია გ., ჯგერენაია ვ., მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, ახალგაზრდა ადვოკატები, იანვარი №8, 2018, 83.

²⁰ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004, 131.

²¹ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2015, 56.

გარეშე (*sine manu mariti*).²² ქმრის ხელით ქორწინების დროს, ქალი გათხოვების შემდეგ მშობლების ოჯახთან იურიდიულ კავშირს კარგავდა და ქმრის ხელისუფლებაში გადადიოდა. ყველაფერი რაც ქორწინებამდე ცოლს ეკუთვნოდა ქმრის საკუთრება ხდებოდა. ქორწინების პერიოდში ცოლის საჩუქარი ასევე ქმრის დაქვემდებარებაში გადადიოდა. ქალის მზითვეი ქმრის ქონებას ერწყმოდა და მის საკუთრებად ითვლებოდა. ცოლს მასზე საკუთრების უფლება არ გააჩნდა.²³

მზითვეი იყო ქონება, რომელიც საოჯახო ხარჯების შემსუბუქების მიზნით, ქმარს ცოლის ან მესამე პირის მიერ გადაეცემოდა.²⁴ რომში სამზითო საგანი შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი რამ, რასაც ქონებრივი ღირებულება გააჩნდა, ანუ ეს იყო როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. კერძოდ, სხეულებრივი თუ უსხეულო, მოძრავი თუ უძრავი ნივთი.²⁵

თუ ქმარი სხვას დაქვემდებარებული პირი (*persona aliena iuris*) იყო, მაშინ ცოლი ქმართან ერთად, ქმრის ოჯახის უფროსს (*paterfamilias*) ექვემდებარებოდა²⁶ და ცოლის ქონება შესაბამისად, ოჯახის უფროსის საკუთრება იყო.

ქმრის უფლება მზითვეზე იმდენად დიდი იყო, რომ მზითვეის დაბრუნება ქმარს არავითარ, თუნდაც განქორწინების შემთხვევაშიც არ ევალებოდა. თუ ქორწინება წყდებოდა ქმრის გარდაცვალებით ცოლი შვილების მსგავსად იღებდა მემკვიდრეობას, რითაც მას მზითვეი უნაზღაურდებოდა.²⁷

რომის სამართალი აწესრიგებდა ასევე საქმროს მიერ მირთმეული საქორწინო საჩუქრის იურიდიულ რეჟიმსაც. კერძოდ, საქორწინო საჩუქარი ქმრის საკუთრებაში ითვლებოდა, მაგრამ თუ ქმრის ინიციატივით მოხდებოდა განქორწინება, საჩუქარი ცოლს რჩებოდა. საჩუქარი ცოლს ეკუთვნოდა ასევე, ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში.²⁸ თუ ქორწინებიდან მეუღლეებს შვილები არ ყავდათ, მაშინ ქორწინების

²² გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2010, 127.

²³ იქვე.

²⁴ იქვე, 132.

²⁵ იქვე, 133.

²⁶ გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2010, 127.

²⁷ იქვე, 133.

²⁸ მეტრეველი ვ., რომის სამართალი (საფუძვლები), თბილისი, 2013, 103.

შეწყვეტის შემთხვევაში, კანონით ცოლს საქორწინო საჩუქარზე არანაირი უფლება არ ჰქონდა. ხოლო თუ ქორწინებიდან მათ ჰყავდათ შვილები, მაშინ ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში, აღნიშნულ ქონებაზე ცოლი იღებდა უზუფრუქტს, ქონებაზე საკუთრების უფლებას კი შვილებთან ერთად ინაწილებდა.²⁹

ქმრის ხელისუფლების გარეშე (*sine manu mariti*) ქორწინების დროს ქმარს ცოლის ქონებაზე უფლება აღარ ჰქონდა. თუ გათხოვილი ქალი დამოუკიდებელი პირი (*persona sui iuris*) იყო, ე.ი მამის ხელისუფლებას არ ექვემდებარებოდა და ქორწინებამდე საკუთარი ქონება ჰქონდა, გათხოვების შემდეგ თავის ქონებაზე საკუთრების უფლებას ინარჩუნებდა.³⁰ ამგვარი ქორწინების პერიოდში მეუღლეთა ქონება განცალკევებულად რჩებოდა. მზითევი ქმრის ქონებაში გადადიოდა, თუმცა ცოლის ქონების მართვის უფლება ქმარს მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა თუ ამას თავად ცოლი გადასცემდა.³¹

ჩვ. წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში ჩამოყალიბდა წესი, რომლის მიხედვით ქალი იბრუნებდა მზითევს ქმრის სიკვდილის, ქორწინების შეწყვეტისა თუ სხვა შემთხვევებში. ეს წესი ითვალისწინებდა მექორწინეთა წინასწარ მოლაპარაკებებს ქალის მზითევის ბედის შესახებ, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში.³² მოგვიანებით იუსტინიანეს ეპოქაში, ქალს ყველა შემთხვევაში უბრუნდებოდა მზითევი გარკვეული ხარჯების გამოქვითვით.³³

რომის სამართლისთვის უცხო არ იყო თანასაკუთრების ინსტიტუტი. რომაელი იურისტები იცნობდნენ რამდენიმე პირის საკუთრების უფლებას ერთ ნივთზე ან ქონებაზე. ასეთ საკუთრებას ისინი უწოდებდნენ კომმუნიო-*communio*.³⁴ თუმცა თანასაკუთრება მეუღლეთა ქონებაზე არ წარმოიშობოდა, რაც გამოწვეული იყო ქონებრივ ურთიერთობებში ცოლის შეზღუდული უფლებებით. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქალის პირადი საკუთრება - მზითევიც კი ქმრის ქონებას ერწყმოდა და მის

²⁹ ხოფერია მ., ქალის უფლებაუნარიანობა ქართული და რომაული სამართლებრივი აზროვნების ჭრილში, სამართლის ჟურნალი, №2, 2009, 180.

³⁰ გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2010, 128.

³¹ იქვე.

³² მეტრეველი ვ., რომის სამართალი (საფუძვლები), თბილისი, 2013, 102-103.

³³ იქვე, 103.

³⁴ იქვე, 66.

საკუთრებად ითვლებოდა. მხოლოდ მოგვიანებით (იუსტინიანეს ეპოქაში) მოიპოვა ქალმა მზითევის დაბრუნების უფლება.

რაც შეეხება მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებს ძველ ქართულ სამართალში, აღნიშნული შეიძლება განვიხილოთ ქართული სამართლის ძეგლებისა და სხვა სამეცნიერო ნაშრომებზე დაყრდნობით.

V-VII სს. საქართველოში ქალის უფლებრივი მდგომარეობა არ იყო სახარბიელო. ამის დამადასტურებელია V საუკუნის ქართველი მწერლის იაკობ ცურტაველის თხზულება- „შუმანიკის მარტვილობა“, ისტორიკოსის ჯუანშერის თხზულება-„ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ და სხვა.³⁵ ამ დროისთვის დამახასიათებელი იყო შეხედულება ქალზე, როგორც არასრულფასოვან, არასრულუფლებიან პირზე. ქალის ქონებრივი უფლებები მეტად შეზღუდული იყო.³⁶

მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის შესახებ მცირე ცნობებია მოცემული ი. ცურტაველის ნაწარმოებში, სადაც ყურადღებას იპყრობს მეუღლეთა შორის ის ქონებრივი ურთიერთობა რაც საჩუქრებში გამოიხატება. კერძოდ, ნაწარმოებიდან ჩანს, რომ წესად ყოფილა მეუღლისთვის გარკვეული ქონების - საჩუქრების მირთმევა, რომელიც ცოლს საკუთრებაში კი არ ეძლეოდა, არამედ ქორწინებაში ყოფნის პერიოდში და თუ ქორწინება დაირღვეოდა საჩუქარი ქმარს უბრუნდებოდა. ამასთან, სამკაულების განმკარგველად ქმარი ჩანს. სავარაუდოა, რომ ქალს სხვა რაიმე ქონებაც ჰქონოდა, რაც ჩანს ვარსქენის დავალებიდან, რომ ხუცესმა უკლებლივ წამოიღოს შუმანიკისგან ყველა სამკაული და „ყოველივე რაიცა რაი არს“.³⁷

რაც შეეხება VI-VIII საუკუნეების ცნობებს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების შესახებ, ისინი თითქმის არ არსებობს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქალი ღებულობდა მზითვს, ჰქონდა მემკვიდრეობის უფლება და გვევლინება, როგორც ქონებრივი ურთიერთობის სუბიექტი.³⁸

მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებში ქალის უფლებრივი მდგომარეობის კუთხით მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა ქალის პირადმა საკუთრებამ - „მზითევმა“. IX საუკუნის საქართველოში მზითვის ინსტიტუტი საკმაოდ განვითარებული სახით

³⁵ ნადარეიშვილი ნ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბილისი, 1974, 33.

³⁶ იქვე, 34.

³⁷ მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2003, 366-367.

³⁸ იქვე, 367.

არსებობდა.³⁹ ქართული სამართლის ნორმების მიხედვით მზითვევი წარმოადგენდა ქალის უცილობელ საკუთრებას ოჯახში.⁴⁰ პირველ ხანებში მზითვად მხოლოდ მოძრავი ქონება უნდა ყოფილიყო, თანდათანობით კი მზითვად უძრავი ქონებაც გვევლინება.⁴¹ რა დროს დაწესდა საქართველოში მზითვის ინსტიტუტი, ან როდის შემოიღეს უძრავი საკუთრების მზითვად გატანება, ამის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ უძრავი ქონება მზითვის სახით უკვე VII-IX ს. არსებობდა და ამ დროს მას „დედული“ რქმევია. ე.ი ისეთივე სახელი, რითაც მამის საგვარეულო უძრავ ქონებას აღნიშნავდნენ („მამული“).⁴²

ბექასა და აღბუდას სამართლის წიგნის თანახმად, მოძრავი ქონება, რომელიც ქალს მზითვის სახით ჰქონდა მშობლების სახლიდან წამოღებული, მისი უპირობო, ხელშეუვალი საკუთრება იყო. რაც შეეხება, უძრავ ქონებას, ანუ მამულს, რაც ქალს მზითვევში გაატანეს, თუ ცოლი თავისი ნებით დატოვებდა ქმრის ოჯახს და ხელახლა გათხოვდებოდა სხვაზე, მისი ნამზვითი მამული ქალის მშობლების განკარგულებაში გადადიოდა.⁴³ ამრიგად, მშობლებთან მიმართებით „სამამული მზითვევი“ არც თუ ისე უპირობო საკუთრება იყო იმ შემთხვევაში, თუ ქალი რაიმე საოჯახო სამართლის დანაშაულს ჩაიდენდა.⁴⁴

ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის 29-ე მუხლის მიხედვით, ქმარს უფლება აქვს მრუმე ცოლი გააგდოს, მაგრამ მზითვევს ამ შემთხვევაშიც ვერ წაართმევს ცოლს. ანუ ცოლის მზითვევი, როგორც საკუთრება, ისეთი ქონებაა, რომელზეც ქმარს ხელი არ მიუწვდებოდა. თვით მრუმე ცოლსაც ქმარი მზითვევს ვერ წაართმევდა.⁴⁵

XIII-XVIII საუკუნეების საქართველოში მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოებშია მოქცეული. სრულწლოვანი ქალი, როგორც მეუღლე დამოუკიდებლად განაგებდა საკუთარ ქონებას. ქმარი ვერ გაასხვისებდა ცოლის ქონებას მისი ნებართვის გარეშე. ცოლი და ქმარი

³⁹ ნადარეიშვილი ნ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბილისი, 1974, 35.

⁴⁰ იქვე, 39.

⁴¹ იქვე, 83.

⁴² ივ.ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისი, 1929, 239.

⁴³ მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2003, 368.

⁴⁴ ნადარეიშვილი ნ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბილისი, 1974, 40-41.

⁴⁵ იქვე, 41.

ერთმანეთთან დებენ სხვადასხვა გარიგებებს - გააჩუქონ, გაცვალონ, გაყიდონ საკუთარი „მიუდევარი“ ქონება.

ბექა-ალბუღას სამართლის თანახმად, საათაბაგოს საოჯახო სამართალი იცნობს ადათობრივი სამართლის ძველ ინსტიტუტს - წინასაქორწინო საჩუქარს, რასაც „სანიჭარი“ ეწოდებოდა. აღნიშნული საკანონმდებლო ძეგლის მიხედვით, „სანიჭარი“ წინასაქორწინო საჩუქარია, რომელსაც ქალისა და ვაჟის მშობლები მიუძღვნიდნენ სასძლოსა და სასიძოს. ამ საჩუქრის მიცემა ორივე მხარის მოვალეობას წარმოადგენდა. „სანიჭარი“ შეიძლება სხვადასხვა სახის ყოფილიყო: ძვირფასი ნივთების ჩუქება, საქორწინო ხარჯებში ერთმანეთის შეწევნა და სხვა. საქმროს მიერ მიტანილი სანიჭარი თავდაპირველად ცოლის საკუთრება უნდა ყოფილიყო, თუმცა ვინაიდან სანიჭარის მიცემა ბექას სამართლის მიხედვით ორივე მშობლის მოვალეობას შეადგენდა, ამიტომ ეს საჩუქარი ცოლ-ქმრის საერთო საკუთრებად ითვლებოდა.⁴⁶

ივ. ჯავახიშვილის გადმოცემით, საცოლქმრო ქონება სამგვარი თვისების იყო და სამი სხვადასხვა წყაროსგან მომდინარეობდა: „მამული“, „დედული“, „მონაგები“. საცოლქმრო საკუთრება უძველეს ხანაში, როცა საგვარეულო წეს-წყობილება სუფევდა, თავისთავად არ არსებობდა. VIII-IX-ე საუკუნეში, როცა კერძო საკუთრება ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა და მოძრავ-უძრავ ქონებას შეიცავდა, მაშინ არსებობდა ზემოთ აღნიშნული „მამული“, „დედული“ და „მონაგები“.⁴⁷

შვილების მიერ მიღებული საკუთრება სამგვარი თვისებისა იყო: „მამული“, რომელიც მთელი მამული ქონება იყო, ანუ ის რაც მამას ეკუთვნოდა. მამის ქონება უმეტეს ნაწილად საგვარეულო, მამა-პაპეული საკუთრების ხვედრითი ნაწილისგან შედგებოდა, მცირედენი კი დედის მხრიდან თან მიტანილი და საცოლქმრო საერთო „მონაგები“-დან მიმატებული ქონებაც იყო; „დედული“- მოძრავ-უძრავი ქონება, რომელიც შვილებს დედისგან დარჩებოდათ ხოლმე და რომელსაც დედას ატანდნენ მამის სახლიდან გათხოვების დროს. ამ ქონებას „ზითევი“ ეწოდებოდა. „დედული“ მარტო

„ზითევისგან“ არ შედგებოდა: მამის სახლიდან მოყოლილი ქონების გარდა, დედულს შეიძლება ქმროსნობის დროს შექმნილი „მონაგებიც“ მიმატებოდა.⁴⁸

⁴⁶ დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953, 92-93.

⁴⁷ ივ.ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისი, 1929, 238.

⁴⁸ იქვე, 238-239.

ივ. ჯავახიშვილის ცნობით, „მონაგები“ ყველა იმათ ეწოდებოდა რაც, „მოგებული“ იყო. მონაგები შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც მოძრავი, ასევე უძრავი ქონებაც. „მოგებაი“ ძველ ქართულში შეძენას ნიშნავდა. აღნიშნული ტერმინი გამოიყენებოდა ყოველგვარი შენაძენის აღსანიშნავად, ნასყიდობის სახით იქნებოდა თუ იგი, თუ სხვა გზით მოპოვებული.⁴⁹

VII-IX სს.-სა და შემდეგ საუკუნეებში დადგენილი წესის თანახმად, დედის სიკვდილის შემდეგ, „დედული“ დედის სახლს ან საგვარეულოს კი არ უბრუნდებოდა, არამედ მის შვილებს რჩებოდათ. ხოლო თუ „მზითვიანი“ ცოლი უშვილოდ დაღუპდა სულს, „ზითევი“ – „დედული“ ისევ ქალის სახლს და გვარეულობას უბრუნდებოდა.⁵⁰ აქედან ნათლად ჩანს ოჯახში მეუღლეთა ქონების განკერძოების პრინციპი. ქმარი ცოლის საკუთრებაზე- „მზითევიზე“ უფლებას მისი სიკვდილის შემდეგაც ვერ იძენდა.

1.2. მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობები თანასაკუთრებისას

საოჯახო ურთიერთობებში საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს მეუღლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს, რასაც საერთაშორისო ხელშეკრულებებთან („ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, „ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენცია) ერთად, საფუძვლად უდევს საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას. კონსტიტუციის აღნიშნულმა დებულებამ ასახვა პოვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლში - საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობანი.⁵¹

სამოქალაქო კოდექსი კრძალავს ყოველგვარ დისკრიმინაციას საოჯახო ურთიერთობებში. კერძოდ, დაქორწინებისას და საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება უფლებათა პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მინიჭება წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი

⁴⁹ იქვე, 251-252.

⁵⁰ იქვე, 239.

⁵¹ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2015, 112.

მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიხედვით.⁵²

მეუღლეთა თანასწორუფლებიანობა მნიშვნელოვანია ქონებრივ ურთიერთობებში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები და ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.⁵³

„მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობების შინაარს შეადგენს ქონებრივი უფლებები და მოვალეობები. სამოქალაქო კოდექსი ქონებრივ უფლებებს ყოფს ნივთობრივ და ვალდებულებით უფლებებად.“⁵⁴ ქონების ცნება აერთიანებს მეუღლეთა კუთვნილ მთელ ქონებრივ მასას, მათ შორის ქონებრივი ხასიათის ვალდებულებებს, თუკი ისინი საერთო ქონების განკარგვის შედეგად წარმოიშვა.⁵⁵ ამრიგად, მეუღლეთა ქონების შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს როგორც მოთხოვნის უფლებები (მაგ. ვალის დაბრუნების მოთხოვნის უფლება), ასევე შესრულების ვალდებულებებიც (მაგ. დაუფარავი სესხი, რომელიც სახლის მშენებლობისთვის იყო აღებული).⁵⁶

საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად - ინდივიდუალურ, ანუ განცალკევებულ და საერთო თანაზიარ საკუთრებად, ანუ თანასაკუთრებად.⁵⁷ სამოქალაქო კოდექსი კონკრეტულად არ განსაზღვრავს ქონების იმ სახეებს, რომლებიც ინდივიდუალურ ან თანაზიარ საკუთრებას მიეკუთვნება, მაგრამ იმდენად გამოკვეთილია მათი დაყოფის ზოგადი კრიტერიუმები, რომ სავსებით შესაძლებელია მეუღლეთა საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა.⁵⁸ ამასთან, მეუღლეებმა საქორწინო

⁵² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1153-ე მუხლი.

⁵³ იქვე, 1159-ე მუხლი.

⁵⁴ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004, 122.

⁵⁵ იქვე, 122-123.

⁵⁶ იქვე, 123.

⁵⁷ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2015, 118.

⁵⁸ იქვე, 119.

ხელშეკრულებით შეიძლება გაითვალისწინონ ქონების ამა თუ იმ სახისთვის დამახასიათებელი კანონით დადგენილი სამართლებრივი რეჟიმის შეცვლა.⁵⁹

მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებას განეკუთვნება:

1. ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე;

2. ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა საერთო თანხებით შეძენილი ქონება, თუ იგი განკუთვნილია ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ძვირფასეულობის გარდა. ასეთი ქონება წარმოადგენს თითოეული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას არა მათ შორის შეთანხმების გამო, არამედ კანონის ძალით. ძვირფასეულობა ითვლება მეუღლეთა საერთო საკუთრებად, მიუხედავად იმისა, იგი განკუთვნილია ერთ-ერთი მათგანის ინდივიდუალური მოხმარებისთვის, თუ არა. კანონი არ აზუსტებს, რომელი ნივთები მიეკუთვნება მათ. პრაქტიკაში დამკვიდრებული გაგებით, ძვირფასეულობად ითვლება ისეთი ნივთები, რომლებიც არაა აუცილებელი ყოფითი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (ძვირფასი ლითონები, ორიგინალური მხატვრული ნაწარმი და სხვა.)⁶⁰

3. ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონება;

4. ქონება, რომელიც საქორწინო ხელშეკრულებით აღიარებულია, როგორც ინდივიდუალური საკუთრება;

5. ქონება, მიღებული მეუღლის მიერ პრემიის, წახალისების, ჯილდოს და ა.შ. სახით.⁶¹

„საბანკო ანაზრები, აქციები და სხვა რაიმე ქონებრივი წილი, რომლებიც გახსნილია (შეძენილია) ქორწინების განმავლობაში, ასევე, პროცენტები (დივიდენდები) მათზე, წარმოადგენს როგორც ქორწინების პერიოდში, ასევე განქორწინების შემთხვევაშიც იმ მეუღლის საკუთრებას, რომლის სახელზეც არის გახსნილი (გაფორმებული) ეს ქონება. საბანკო პროცენტების და დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით შესაძლებელია მეუღლეთა შორის ცალკე შეთანხმება.“⁶²

⁵⁹ იქვე.

⁶⁰ იქვე, 123.

⁶¹ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004, 126.

⁶² იხ. „ <http://www.opentext.org.ge/index.php?m=12&y=2011&art=4419> “, [22.06.2019].

თითოეულ მეუღლეს უფლება აქვს ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს განცალკევებულ ქონებას მეუღლის ნება-სურვილისა და თანხმობის გარეშე.⁶³

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლის თანახმად, მეუღლის ინდივიდუალური საკუთრება შეიძლება გარდაიქმნას საერთო საკუთრებად, თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში გაწეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდა (გადადგეგმარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება და სხვა.). ამ საკითხთან დაკავშირებით, უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში გააკეთა შემდეგი განმარტება: „ქონებაზე ქორწინების განმავლობაში ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები და გაწეული ხარჯი, რომლის შედეგად გაიზარდა ქონების ღირებულება, არ არის საკმარისი ქონების სამართლებრივი რეჟიმის ტრანსფორმაციისათვის. აუცილებელია ქონების ღირებულების მნიშვნელოვანი გაზრდა. ქონების ღირებულების მნიშვნელოვანი გაზრდად კი ითვლება გადადგეგმარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება, ე.ი. კანონმდებელი ყურადღებას ამახვილებს არა მარტო ქონების ღირებულების გაზრდაზე, არამედ ამ ღირებულების მნიშვნელოვნად გაზრდის თავისებურებებზე. ქონების სამართლებრივი რეჟიმის ტრანსფორმაციისთვის არ არის საკმარისი მიმდინარე სამუშაოების ჩატარება, რაც არ იწვევს ქონების არსებით შეცვლას“⁶⁴.

საყურადღებოა, მეუღლეთა მიერ საჩუქრად და მემკვიდრეობით მიღებული ქონების სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით არსებული სასამართლო პრაქტიკა. ერთ-ერთ საქმეზე, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ქორწინებაში მყოფი მეუღლის მიერ საჩუქრად მიღებული ნივთის საკუთრების ფორმის (ინდივიდუალური, თუ საერთო) განსაზღვრისათვის, არსებითი მნიშვნელობისაა, დადგინდეს მჩუქებლის ნება, რომელიც მიმართული უნდა იყოს ოჯახის კეთილდღეობისათვის ზრუნვისკენ და ოჯახის საერთო მიზნებს უნდა ემსახურებოდეს. სასამართლო მეუღლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპიდან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლი), საოჯახო საკითხების ერთობლივად გადაწყვეტის უფლებიდან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1155-ე მუხლი) და თანასაკუთრებაში არსებული ქონების

⁶³ იქვე, 129.

⁶⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატის 2005 წლის 22 მარტის განჩინება №ას-1094-1336-04.

ურთიერთშეთანხმებით მართვისა და განკარგვის უფლება-მოვალეობებიდან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1159-ე და 1160-ე მუხლები) გამომდინარე, ეყრდნობა პრეზუმფციას იმისა, რომ ძვირად ღირებული საჩუქარი, რომელიც, თავისი დანიშნულებით, არ წარმოადგენს ინდივიდუალური მოხმარების ნივთს, წარმოადგენს ოჯახისთვის გაკეთებულ საჩუქარს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლისთვის არის იგი გადაცემული. აღნიშნულის საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომელიც სადავოს ხდის ამ გარემოებას.⁶⁵

მეუღლეთა მიერ მემკვიდრეობით მიღებულ ქონება, როგორც ზემოთ აღინიშნა, ითვლება მათ განცალკევებულ საკუთრებად. თუმცა, იგივეს ვერ ვიტყვით ასეთი ქონების რეალიზაციის შედეგად აღებული თანხით შეძენილ ქონებაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე გააკეთა შემდეგი განმარტება: „მემკვიდრეობით მიღებული ქონების რეალიზაციის შედეგად აღებული თანხით შეძენილ ქონებაზე ვერ გავრცელდება მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 1161-ე მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით, თითოეული მეუღლის საკუთრებას წარმოადგენს ქორწინების განმავლობაში მემკვიდრეობით მიღებული ქონება და არა ამ ქონების რეალიზაციით აღებული თანხით შეძენილი ნივთი. ხშირად, ქორწინების პერიოდში მეუღლეებს გააჩნიათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი შემოსავალი. მიუხედავად იმისა, რომ, ჩვეულებრივ, ეს შემოსავალი მის მიმღებ მეუღლეს ეკუთვნის, შეძენილი ქონება, გარდა ინდივიდუალური სარგებლობის ნივთებისა, უთუოდ, მათი თანასაკუთრებაა.“⁶⁶

რაც შეეხება მეუღლეთა თანასაკუთრებას, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას - თანასაკუთრებას, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.⁶⁷ ამასთან, ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო

⁶⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განჩინება №ას-7-7-2016.

⁶⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მაისის განჩინება №ას-295-282-2015

⁶⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილი.

მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.⁶⁸ საპატიო მიზეზი შეიძლება უკავშირდებოდეს მხოლოდ პირის სურვილის საწინააღმდეგოდ, მისი ჯანმრთელობის ან სხვა მიზეზის გამო, დამოუკიდებელი შემოსავლის მიუღებლობას. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას, ქონება შეძენილია ერთ-ერთი მათგანისა, თუ ორივე მეუღლის მიერ.⁶⁹

ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა შორის შეძენილ ქონებაზე თანასაკუთრების რეჟიმის დაწესებით, კანონმდებელი ხელმძღვანელობს იმ ვარაუდით, რომ როგორც წესი, ასეთი ქონება იქმნება მეუღლეთა ერთობლივი სახსრებით, საოჯახო მეურნეობის ერთობლივი გაძლიერებითა და ერთობლივი შრომით. მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებას (მეუღლეების საერთო ქონებას) მიეკუთვნება, როგორც შრომის საქმიანობით მიღებული ორივე მეუღლის შემოსავალი, ასევე სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და სხვა სახის შემოსავალი, რომლებსაც სპეციალური მიზნობრივი დანიშნულება არ აქვთ, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქონება, რომელიც შეძენილია მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში მიუხედავად იმისა, ვის სახელზეა იგი შეძენილი ან რომელი მეუღლის მიერ არის გადახდილი თანხა.⁷⁰

ამდენად, მეუღლეთა საერთო ქონების ცნების ქვეშ იგულისხმება მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ყოველგვარი ქონება - მოძრავი და უძრავი, რომელიც შეძენილია (ან შექმნილია) ორივე მეუღლის ერთობლივი შრომითა და სახსრებით. მეუღლეთა ერთობლივი შრომა, ამ შემთხვევაში, ნიშნავს ოჯახის საკეთილდღეოდ გაწეულ ყოველგვარ საზოგადოებრივად სასარგებლო და აუცილებელ შრომას, რასაც მეუღლეები ასრულებენ როგორც ოჯახში, ისე ოჯახის გარეთ.⁷¹

მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება უნდა განვასხვავოთ საერთო წილობრივი საკუთრებისგან. წილობრივი საკუთრება შეიძლება გააჩნდეს ორ ან მეტ პირს, მათ შორის არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ ქალსა და მამაკაცს. საერთო წილობრივი საკუთრების სუბიექტებისგან განსხვავებით, მეუღლეს უფლება არ აქვს მოითხოვოს წილის გამოყოფა თანაზიარი საკუთრებისგან და მისი დამოუკიდებლად განკარგვა,

⁶⁸ იქვე, 1158-ე მუხლის მეორე ნაწილი.

⁶⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განჩინება №ას-7-7-2016.

⁷⁰ იქვე.

⁷¹ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 131.

რადგან ეს იქნება არა მისი წილის გამოყოფა, არამედ თანაზიარი საკუთრების გაყოფა. საერთო წილობრივი საკუთრება შეიძლება ორ ან მეტ პირს ეკუთვნოდეს და მისგან ერთ-ერთი მათგანის წილის გამოყოფა არ სპობს საერთო საკუთრებას. მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების გაყოფა კი მისი ინდივიდუალურ საკუთრებად გადაქცევის საფუძველია, რადგან თანაზიარი საკუთრების სუბიექტები მხოლოდ მეუღლეები არიან.⁷²

1.3 ქორწინების განმავლობაში შეძენილ უძრავ ნივთზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების სამართლებრივი ბუნება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი ადგენს მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივ საფუძველებს, რაზეც ზემოთაც გვქონდა საუბარი (1.1. პარაფრაფი). აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების ცნების ქვეშ იგულისხმება ქორწინების პერიოდში შეძენილი ყოველგვარი ქონება, ანუ როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება.⁷³

მეუღლეთა საერთო ქონების მიმართ გამოიყენება სსკ-ის 158-ე მუხლით გათვალისწინებული, მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია და ივარაუდება, რომ მეუღლეთა ქორწინების პერიოდში შეძენილი ნივთები მეუღლეთა საერთო საკუთრებაა.⁷⁴ თუმცა, სხვადასხვა სამართლებრივი რეგულირება ახასიათებთ ნივთებს იმის გათვალისწინებით მოძრავია, თუ უძრავი.⁷⁵

მოძრავი ნივთების მიმართ მოქმედებს პრეზუმფცია, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე,⁷⁶ რაც იმას გულისხმობს, რომ მოძრავი ქონების გასხვისებისას უშუალო მფლობელი (გამსხვისებელი) ითვლება ნივთის მესაკუთრედ.⁷⁷

რაც შეეხება უძრავ ქონებას, ქორწინების განმავლობაში შეძენილ უძრავ ქონებაზე თავისთავად, ავტომატურად არ ვრცელდება მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი.⁷⁸ სსკ-

⁷² შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2015, 120.

⁷³ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004, 131.

⁷⁴ სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 51.

⁷⁵ კალანდაძე თ., მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველები, მართლმსაჯულება და კანონი, №2 (29), 2011, 103.

⁷⁶ სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 50-51.

⁷⁷ ჩიტოშვილი თ., ვინდიკაცია, როგორც უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დაცვის საშუალება, რომან შენგელია 70, საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, ლ. ჭანტურიასა და ე. შენგელიას რედაქტორობით, თბილისი, 2012, 262.

ის 158-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა ნივთზე საკუთრებითი ურთიერთობის ხასიათი ვლინდება საჯარო რეესტრიდან. სსკ-ის 183-ე მუხლი კი, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისთვის აუცილებელ პირობად ითვალისწინებს გარიგების წერილობითი ფორმით დადებას და საკუთრების უფლების რეგისტრაციას საჯარო რეესტრში. თუ ერთ-ერთი მეუღლე არ დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში თანამესაკუთრედ, შესაძლოა, მან დაკარგოს ეს უფლება, ისე, რომ ვერ გახდეს თანამესაკუთრე.⁷⁹ ამდენად, პრაქტიკაში გარკვეულ გაუგებრობას ვაწყდებით მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ერთ-ერთი იმ მეუღლის მიერ (მეორე მეუღლესთან შეთანხმების გარეშე) განკარგვასთან დაკავშირებით,⁸⁰ რომელიც სსკ-ის 1158-ე მუხლიდან გამომდინარე, არის ქორწინების განმავლობაში შეძენილი საერთო ქონების მესაკუთრე, მაგრამ სსკ-ის 183-ე მუხლის შესაბამისად, არ არის კონკრეტული უძრავი ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, რის გამოც მოკლებულია შესაძლებლობას განკარგოს თანაზიარი ქონება.⁸¹

სსკ-ის 1160-ე მუხლის თანახმად, იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაშია, ხდება მეუღლეთა შეთანხმებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას. ასეთ ქონებასთან დაკავშირებით, ერთი მეუღლის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ მან არ იცოდა გარიგების შესახებ ან/და ის არ ეთანხმებოდა გარიგებას. ასეთ შემთხვევაში, მეუღლეს, როგორც თანამესაკუთრეს, უფლება აქვს, მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი. ამ ნორმით, კანონმდებელი გამოდის მესამე პირის-შემძენის ინტერესებიდან.

⁷⁸ ზოიძე ო., მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი, ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი I, თბილისი, 2004, 27.

⁷⁹ ბიჭია მ., მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის დადგენის თავისებურებები საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, №1(61)2019, 86.

⁸⁰ კალანდაძე თ., მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველები, მართლმსაჯულება და კანონი, №2 (29), 2011, 103.

⁸¹ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2015, 121.

სსკ-ის 185-ე მუხლის თანახმად, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.

საჯარო რეესტრი ასრულებს მოწესრიგებული სამოქალაქო ბრუნვის გარანტიის ფუნქციას. სწორედ ამაშია მისი ძირითადი დანიშნულება.⁸² საჯარო რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია- რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.⁸³ ეს სამართლებრივი ფიქცია სერიოზული გარანტიაა კეთილსინდისიერი შემძენის უფლების დაცვისთვის.⁸⁴

თანასაკუთრებაში არსებული ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ თუ მესაკუთრე ახდენს უძრავი ქონების გასხვისებას, დაუშვებელია თანამესაკუთრის თანხმობის მოთხოვნა, თუ იგი ასეთად არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.⁸⁵ ამ შემთხვევაში, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება ერთადერთ მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებლის გარდა არსებობს სხვა თანამესაკუთრე.⁸⁶

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსი იცავს მხოლოდ კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს. იმის გასარკვევად, კეთილსინდისიერად მოქმედებდა თუ არა შემძენი გათვალისწინებულ უნდა იქნას მისი შესაძლებლობანი რეესტრის არასწორი ჩანაწერის ცოდნასთან მიმართებით, ანუ უნდა გაირკვეს შემძენს გონივრული წინდახედულების ფარგლებში უნდა სცოდნოდა, თუ არა სადავო ფაქტი. ამდენად, შემძენის ინტერესების დაცვა უნდა მოხდეს არა მხოლოდ საჯარო რეესტრის მონაცემების გათვალისწინებით, არამედ ქონების მესაკუთრის ვიანობისადმი მისი სუბიექტური დამოკიდებულებით.⁸⁷ შემძენს არ უნდა მოეთხოვოს იმაზე მეტის ცოდნა,

⁸² ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, 366.

⁸³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁸⁴ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, 366.

⁸⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მესამე ნაწილი.

⁸⁶ იქვე, 312-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

⁸⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის №ას-505-741-08 გადაწყვეტილება, წიგნიდან: სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 121-122.

რაც მის გონივრულ შესაძლებლობებს სცილდება.⁸⁸ ამრიგად, შემძენის ცოდნა, საჯარო რეესტრში მესაკუთრის შესახებ დამოკიდებულია კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე. მაგალითად, მის ნათესაურ კავშირზე ან ახლო ურთიერთობაზე ნივთის გამსხვისებელთან.⁸⁹

უძრავი ნივთების სანივთოსამართლებრივი რეჟიმის შესახებ, საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია არაა ასახული საოჯახო კანონმდებლობაში, რაც განაპირობებს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას.⁹⁰ საოჯახო სამართალი ადგენს მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის ზოგად წესს და არ ითვალისწინებს ცალკე რეგულაციას უძრავ-მოდრავი ქონების მიმართ. თუმცა, სასამართლო მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების განკარგვასთან დაკავშირებულ დავებს იხილავს სსკ-ის 1160-ე მუხლის, ამავე კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლებთან ერთობლიობაში განხილვის გზით.⁹¹

არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლებელია, სსკ-ის 1158-ე და 1160-ე მუხლები ჩაითვალოს სპეციალურ ნორმად სსკ-ის სანივთო სამართლის ნორმებთან მიმართებით და სსკ-ის მე-2 მუხლის მე-2 წინადადების საფუძველზე - „ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური ნორმები“, კოლიზია გადაწყდეს საოჯახოსამართლებრივი ნორმების სასარგებლოდ: 1158-ე მუხლით, რომელიც უშვებს თანასაკუთრების წარმოშობას ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე, მისი სახეობის მიუხედავად, ერთ-ერთი მეუღლის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება წარმოეშობა მეორე მეუღლესაც და შესაბამისად, 1160-ე მუხლის საფუძველზე ბათილი იქნება რეესტრში ერთადერთ მესაკუთრედ რეგისტრირებული მეუღლის მიერ ამ უძრავ

⁸⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 10 დეკემბრის №ას-189-182-2013 გადაწყვეტილება, წიგნიდან: სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 122.

⁸⁹ სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 122.

⁹⁰ ბიჭია მ., მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის დადგენის თავისებურებები საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, №1(61)2019, 86.

⁹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განჩინება №ას-7-7-2016.

ქონებაზე დადებული გარიგება, თუ დადგინდება, რომ მეორე მეუღლე ამ გარიგებაზე თანახმა არ იყო და გარიგების დამდებმა პირმა იცოდა ამის შესახებ.⁹²

თუ დავუშვებთ, რომ საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის მესაკუთრედ რეგისტრირებული ერთ-ერთი მეუღლის ქონება სხვა პირის (მეორე მეუღლის) თანასაკუთრებაცაა, მიუხედავად იმისა, რომ ეს პირი არ არის მესაკუთრედ რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, მაშინ საჯარო რეესტრი ფუნქციას კარგავს და მესამე პირის ინტერესები სრულიად იგნორირებულია. აზრს კარგავს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლიც, რომელიც ადგენს შემძენის ინტერესების დაცვის სამართლიან მექანიზმს.⁹³ ასეთ დაშვებას მივყავართ გაუგებრობამდე: მეუღლეს, რომლის უფლებაც უძრავ ნივთზე არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში და მიუხედავად ამისა, ითვლება მესაკუთრედ, უფლება აქვს განკარგოს ეს უძრავი ნივთი ისე, რომ არ ჰქონდეს თავისი უფლების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი: არც ნივთის შემძენის დოკუმენტი, არც ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. შესაბამისად, გარიგება დაიდება ისე, რომ არ იარსებებს გარიგების საგნის განმსაზღვრელი რაიმე საბუთი, რომელიც შემძენს მიაწოდებს უტყუარ ინფორმაციას გარიგების საგნის შესახებ.⁹⁴

გამომდინარე იქიდან, რომ საოჯახო კანონმდებლობა არ არეგულირებს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობასა და მის განკარგვასთან დაკავშირებულ საკითხებს, საკმაოდ რთულია მხოლოდ ერთი მეუღლის სახელზე რეგისტრირებული, მეუღლეთა საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი განიკარგოს ისე, რომ თანაბრად იყოს დაცული კეთილსინდისიერი შემძენისა და ორივე მეუღლის ინტერესები. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ არ დაირღვეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა. შემძენს სჭირდება გარანტია, რომ მის მიერ დადებული გარიგება არ იქნება ბათილი, მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო. აგრეთვე, სამოქალაქო კოდექსის დანაწესი (1158-ე მუხლის პირველი ნაწილი), რომ მეუღლეთა მიერ ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო

⁹² ზარნაძე ე., მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურება, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, ტომი 10, №1, 2007, 124.

⁹³ ზოიძე ო., მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი, ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი I, თბილისი, 2004, 27.

⁹⁴ იქვე.

ქონებას და მისი განკარგვა ხდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით (1159-ე მუხლი), უნდა წარმოშობდეს რეალურ გარანტიებს იმ მეუღლის მიმართაც, რომლის სახელზეც არ არის რეგისტრირებული საკუთრების უფლება საერთო ქონებაში არსებულ ნივთზე/ნივთებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ირღვევა სსკ-ის 1152-ე მუხლით გათვალისწინებული მეუღლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, რომლის თანახმადაც, მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები.

აღსანიშნავია, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1558-1563-ე მუხლებით დადგენილი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი - მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეესტრი.⁹⁵ მეუღლეთა საერთო ქონების რეესტრში რეგისტრაცია ხორციელდება ნებისმიერი იმ რაიონული სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც თუნდაც ერთ-ერთ მეუღლეს აქვს თავისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.⁹⁶ რეესტრში რეგისტრაცია ხორციელდება მხოლოდ განცხადების საფუძველზე და მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც მას განცხადებით ითხოვენ.⁹⁷ რეესტრში რეგისტრაციისთვის საჭიროა ორივე მეუღლის მიერ წარდგენილი განცხადება⁹⁸, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა⁹⁹. რეესტრის გაცნობა ნებადართულია ნებისმიერი პირისათვის.¹⁰⁰

გერმანიის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეესტრის მსგავსი ინსტიტუტის ქართულ კანონმდებლობაში გათვალისწინება მეტ სიცხადეს შეიტანდა მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებში.

ასევე, გასაზიარებელია შ. ჩიკვაშვილის მოსაზრება: „საოჯახო კანონმდებლობამ იმდენად დეტალურად უნდა მოაწესრიგოს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები, რომ თავიდანვე გამოირიცხოს როგორც მეუღლეთა, ისე მესამე პირთა ინტერესების უგულებელყოფა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კარგი იქნება თუკი დაწესდება სამართლებრივი ნორმა ორივე მეუღლის აუცილებელი რეგისტრაციის შესახებ უძრავი

⁹⁵ იქვე, 34.

⁹⁶ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით, თბილისი, 2010, 1558-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁹⁷ იქვე, 1560-ე მუხლი.

⁹⁸ იქვე, 1561-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁹⁹ იქვე, 1561-ე მუხლის მეორე ნაწილი.

¹⁰⁰ იქვე, 1563-ე მუხლი.

ქონების მიმართ, რითაც დაცული იქნებოდა რეესტრის მონაცემთა უტყუარობის პრინციპი“.¹⁰¹ ამასთან, დაცული იქნება ორივე მეუღლის ინტერესები.

2018 წლის 17 იანვარს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ (შემდგომში „საია“) საქართველოს პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით.¹⁰²

აღნიშნული კანონპროექტი მიზნად ისახავდა მეუღლეთა ქონებრივი უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიების გაზრდას, რაც გულისხმობს ქორწინების პერიოდში ქორწინებაში მყოფი პირისათვის ქორწინების განმავლობაში შეძენილ უძრავ ქონებაზე თანასაკუთრების უფლების რეგისტრაციის უფლების მინიჭებას მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე.¹⁰³

„საია“ კანონპროექტის მიღების მიზეზად ასახელებს შემდეგს: „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს ქორწინების განმავლობაში შეძენილ უძრავ ქონებაზე ერთ-ერთი მეუღლის მიერ თანასაკუთრების რეგისტრაციას იმ მეუღლის თანხმობის გარეშე, რომლის სახელზეც არის ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება დარეგისტრირებული. საქართველოში არსებული ტრადიციებიდან და პრაქტიკიდან გამომდინარე, ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება უმეტეს შემთხვევაში რეგისტრირდება მამაკაცის სახელზე, ხოლო განქორწინების შემთხვევაში, ქალს უხდება თანსაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე სასამართლოს მეშვეობით ქონებრივი უფლების დადასტურება. მოცემულ შემთხვევაში, შესაძლებელია ასევე, ქორწინების პერიოდში ადგილი ჰქონდეს ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობის განხორციელებას, რაც მათ ქონებრივ უფლებების განხორციელებაზე უარყოფითად აისახება.“¹⁰⁴

შეთავაზებული კანონპროექტით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონს ემატება 14¹ მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ქორწინების განმავლობაში შეძენილ უძრავ

¹⁰¹ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004, 150.

¹⁰² საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით, N626, 17.01.2018.

¹⁰³ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის (N626, 17.01.2018) განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი.

¹⁰⁴ იქვე, „ა“ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი.

ქონებაზე თანასაკუთრების რეგისტრაციის სპეციალურ წესს. კერძოდ, შეთავაზებული ცვლილებით მეუღლეს უფლება აქვს ქორწინების პერიოდში მოითხოვოს ქორწინების განმავლობაში შეძენილ უძრავ ქონებაზე თანამესაკუთრედ რეგისტრაცია, რისთვისაც საკმარისია მეუღლემ საჯარო რეესტრში წარადგინოს ქორწინების მოწმობა ან შესაბამისი ცნობა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან. ასევე, ქორწინების განმავლობაში შეძენილ უძრავ ქონებაზე თანასაკუთრების რეგისტრაციისთვის მეორე მეუღლის თანხმობის წარდგენა არ არის საჭირო.¹⁰⁵

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საიას მიმართ წარდგენილი, ზემოთ აღნიშნული, წინადადება საკომიტეტო განხილვის შედეგად უარყოფილად ცნო.¹⁰⁶

კომიტეტმა განმარტა, რომ საკანონმდებლო წინადადების პირველი მოსმენით პრინციპების დონეზე მოწონების მიზნით, აუცილებელია იგი რამდენიმე კრიტერიუმს აკმაყოფილებდეს. უპირველეს ყოვლისა, კანონპროექტი მიზნად უნდა ისახავდეს არსებული პრობლემის გადაჭრას, შესაბამისად, უნდა გააჩნდეს ლეგიტიმური საჯარო მიზანი. ამასთან, აუცილებელია აღნიშნული მიზნის მისაღწევად კანონპროექტით წარმოდგენილი ინსტრუმენტები იყოს გამოსადეგი.¹⁰⁷

კომიტეტის შეფასებით: „განმარტებითი ბარათის მიხედვით, ცვლილებით დასახულ ლეგიტიმურ მიზანს ქორწინებაში მყოფ ქალთა ქონებრივი უფლებების დაცვა და ოჯახში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. კერძოდ, წარმოდგენილი დასაბუთების მიხედვით, აღნიშნული მიზნის არსებობა გამომდინარეობს ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების ძირითადად მამაკაცის სახელზე დარეგისტრირების პრაქტიკიდან. ამგვარი დასაბუთების პირობებში, წარმოდგენილ საკანონმდებლო წინადადებას არ ერთვის სათანადო ორგანოსგან გამოთხოვილი შესაბამისი სტატისტიკური ან სხვა რაიმე მყარი მონაცემი, რომლითაც ზემოთ აღნიშნული, ჰიპოთეზის დადასტურება მოხდებოდა.“¹⁰⁸

¹⁰⁵ იქვე, „ა“ პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტი.

¹⁰⁶ ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ წარდგენილ საკანონმდებლო წინადადებასთან დაკავშირებით იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა №4505, 19.03.2018.

¹⁰⁷ იქვე.

¹⁰⁸ იქვე.

ამასთან, კომიტეტმა წინადადების შეფასებისას აღნიშნა, რომ წარმოდგენილი წინადადება რეგულირების მიღმა ტოვებს რიგ პრობლემატურ საკითხებს. კერძოდ, როგორ მოხდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ კონკრეტული ქონების მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შეფასება, რაც სამოქალაქო კოდექსის მიხედვით უძრავ ქონებაზე თანასაკუთრებას წარმოშობს. ასევე, რეგულირების მიღმა დატოვებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, როგორ მოხდება ქორწინების განმავლობაში შეძენილი იმ უძრავი ქონების გამიჯვნა სხვა ქონებისგან, რომელიც არ ექვემდებარება თანასაკუთრებად რეგისტრაციას მისი მემკვიდრეობასთან ან ჩუქებასთან პირდაპირი/არაპირდაპირი კავშირის გამო. შესაბამისად, აღნიშნულ ჭრილში წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება კითხვას ბადას გენდერული თანასწორობისა და ქონებრივი უფლებების პრაქტიკულად რეალიზაციის გამოსადეგ საშუალებად მიჩნევის კუთხით.¹⁰⁹

საიას შეთავაზებული ცვლილებით, ქორწინების განმავლობაში შეძენილ უძრავ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობა მხოლოდ ქორწინების მოწმობის ან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან შესაბამისი ცნობის საფუძველზე, არ მიმაჩნია მართებულად. ვინაიდან, ქორწინების განმავლობაში მეუღლეებს შეიძლება ჰქონდეთ როგორც საერთო ქონება (1158-ე მუხლი), ისე განცალკევებული/ინდივიდუალური ქონება (1161-ე მუხლი). საჯარო რეესტრმა უნდა განასხვავოს მეუღლეთა საკუთრების ფორმები. იგი თავისთავად, ვერ დაეყრდნობა მხოლოდ განმცხადებელი მეუღლის ნათქვამს, რომ ქონება შეძენილია ქორწინების განმავლობაში. ამრიგად, დამატებითი დოკუმენტების წარდგენის გარეშე (მაგ. მეუღლეთა ქორწინების პერიოდში უძრავ ქონებაზე დადებული ხელშეკრულება, უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, სადაც ასახულია ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი (სამკვიდრო მოწმობა, ჩუქების ხელშეკრულება და სხვა.) და ა.შ.) მეუღლის თანამესაკუთრედ რეგისტრაციამ შეიძლება დაარღვიოს მეორე მეუღლის უფლებები. თუმცა, საკითხი რომ პრობლემურია და საჭიროებს დამატებით საკანონმდებლო რეგულირებას, ამის თაობაზე ზემოთ უკვე ვიმსჯელებთ.

¹⁰⁹ იქვე.

1.4 თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა და მასთან დაკავშირებული გარიგებები

მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის ყველაზე გავრცელებულ საშუალებას სამოქალაქო - სამართლებრივი გარიგება წარმოადგენს.¹¹⁰ ასეთი ქონების განკარგვა ხდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს მას.¹¹¹ ამრიგად, საერთო ქონების განკარგვა შეუძლია ერთ-ერთ მეუღლეს ან ორივე მათგანს ერთად.¹¹² ქონების მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით განკარგვა კი, გულისხმობს იმას, რომ ასეთი ქონების განკარგვასთან დაკავშირებული გარიგების დასადებად აუცილებელია ორივე მეუღლის თანხმობა, ანუ ორივე მეუღლის ნების გამოვლენა.¹¹³ როცა ერთი მეუღლე განკარგავს თანაზიარ საკუთრებას, იგულისხმება, რომ მეორე მეუღლე თანახმაა ამაზე და არაა საჭირო ამ უკანასკნელის მინდობილობა გარიგების დასადებად.¹¹⁴ მეუღლის თანხმობის პრეზუმფიცირება გამომდინარეობს თვით მეუღლეთა და აგრეთვე მესამე პირთა ინტერესებიდან¹¹⁵ და ეფუძნება იმ ფაქტის მაღალ ალბათობას, რომ მეუღლეებმა, გამომდინარე ურთიერთობის ფაქტორიდან, პირადი და ქონებრივი ინტერესების ერთიანობიდან, ერთმანეთს შეუთანხმეს თავიანთი მოქმედებები, ქონების განკარგვის თაობაზე.¹¹⁶

სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებულ ქონებასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი მეუღლის მიერ დადებული გარიგება (მეუღლესთან შეთანხმების გარეშე) ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ მან არ იცოდა გარიგების შესახებ ან/და ის არ ეთანხმება გარიგებას. ამ ნორმით კანონმდებელი იცავს მესამე პირის - შემძენის უფლებას, რომელიც, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, არ არის ვალდებული დარწმუნდეს მეორე მეუღლის თანხმობის არსებობაში და მოითხოვოს ამის

¹¹⁰ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2015, 120.

¹¹¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის პირველი ნაწილი.

¹¹² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, ლ.ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2000, 111.

¹¹³ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004, 140.

¹¹⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, ლ.ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2000, 111.

¹¹⁵ იქვე.

¹¹⁶ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004, 141.

დამადასტურებელი რაიმე საბუთი.¹¹⁷ გამონაკლის შემთხვევაში, ასეთი გარიგება ბათილად იქნება აღიარებული მხოლოდ მაშინ, თუ თანაზიარი ქონების განმკარგავ მეუღლეს არ ჰქონდა ამის უფლებამოსილება და შემძენმა ეს იცოდა ან უნდა სცოდნოდა.¹¹⁸

სანივთო სამართალი განსხვავებულად აწესრიგებს მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების ვარაუდს.¹¹⁹

მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი მოძრავი ნივთების მიმართ, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მოქმედებს სსკ-ის 158-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია: „ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე“. ამრიგად, მოძრავ ნივთებთან მიმართებით საკუთრების პრეზუმფცია ვლინდება მფლობელობიდან.¹²⁰ რაც შეეხება უძრავ ნივთებს, საკუთრების უფლება მათ მიმართ დგინდება საჯარო რეესტრიდან.¹²¹ სსკ-ის 185-ე მუხლიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეესტრირებული საჯარო რეესტრში.

ამასთან, მოძრავი ნივთების შემთხვევაში, შემძენის კეთილსინდისიერების შემოწმების არეალი უფრო ფართოა ვიდრე უძრავი ნივთების შემთხვევაში. კერძოდ, მოძრავ ნივთებთან მიმართებით, სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ხოლო უძრავი ნივთების შემთხვევაში, სსკ-ის 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეესტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.¹²²

პრაქტიკაში გარკვეულ გაუგებრობას ვაწყდებით მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ერთ-ერთი იმ მეუღლის მიერ (მეორე მეუღლესთან

¹¹⁷ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2015, 120.

¹¹⁸ იქვე, 121.

¹¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება №ას-189-182-2013.

¹²⁰ იქვე.

¹²¹ იქვე.

¹²² იქვე.

შეთანხმების გარეშე) განკარგვასთან დაკავშირებით, რომელიც არ არის კონკრეტული უძრავი ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ვინაიდან, ეს საკითხი უკვე განვიხილეთ (1.3 პარაგრაფი), მასზე აქ აღარ შევჩერდებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (1160-ე მუხლის მე-3 ნაწილი) მეუღლეს, როგორც თანამესაკუთრეს აძლევს უფლებას, მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი. აღნიშნული ნორმა უშუალოდ უკავშირდება ამავე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებს. ე.ი. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქონების დაბრუნების წინაპირობები, მეუღლეს შეუძლია, მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი, რაც, კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება წარმოადგენდეს იმ თანხის ნახევარს (მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების თავისი წილის ღირებულება), რაც ქონების განკარგვით მიიღო მეორე მეუღლემ.¹²³

მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ სარგებლის და ზიანის ცნებები. ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ ამ საკითხზე, გააკეთა შემდეგი განმარტება: „სარგებლის დაბრუნების მოთხოვნასა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას გააჩნია სხვადასხვა საფუძვლები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილი აძლევს უფლებას დაზარალებულ მეუღლეს, მოითხოვოს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი, იმ პირობებში, როდესაც შეუძლებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. სარგებელს წარმოადგენს ის აქტივი, რაც მიიღო მეუღლემ და რომლის ნახევრის მიღების უფლება აქვს მეორე მეუღლეს, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მეორე მეუღლემ ამით მიიღო ზიანი (გაეზარდა პასივი), მას, ასევე შეუძლია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რაზედაც უნდა დამატებით მიუთითებდნენ შესაბამისი ფაქტები.“¹²⁴

¹²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 თებერვლის განჩინება, № ას-1136-1067-2012.

¹²⁴ იქვე.

თავი II. მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის წესი

2.1. მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების სამართლებრივი რეჟიმის ორ სახეს - კანონისმიერს და სახელშეკრულებს. კანონით მეუღლეებს ეძლევათ აღნიშნული სამართლებრივი რეჟიმიდან, ერთ-ერთის არჩევის შესაძლებლობა.¹²⁵

საოჯახო კანონმდებლობის თანახმად, მეუღლეთა ქონების კანონისმიერი რეჟიმი - ეს მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმია.¹²⁶ სამოქალაქო კოდექსი ადგენს მეუღლეთა საერთო ქონების (თანასაკუთრების) სამართლებრივ მდგომარეობას როგორც ქორწინების განმავლობაში ისე, განქორწინებისას.

მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება მათ ეკუთვნით თანაბრად, წილის განუსაზღვრელად. თითოეული მათგანის წილის განსაზღვრა შეიძლება მოხდეს ერთ-ერთი მეუღლის ან ორივე მათგანის მიერ თანაზიარი ქონების გაყოფის მოთხოვნის შემთხვევაში.¹²⁷ ქონების გაყოფის საკითხი, ჩვეულებრივ, განქორწინების დროს დგება. ქორწინების შეწყვეტა იწვევს არა მარტო პირადი ურთიერთობების შეწყვეტას, არამედ ქონებრივ უფლება-მოვალეობების შეწყვეტასაც და თავისთავად, უნდა შეწყდეს თანაზიარი საკუთრების უფლებაც. ამიტომ ხდება იმ ქონების გაყოფა, რომელიც მეუღლეებმა ერთად ცხოვრების პერიოდში შეიძინეს.¹²⁸ თუმცა, მეუღლეთა საერთო ქონება შეიძლება გაიყოს როგორც განქორწინებისას, ისე ქორწინების განმავლობაში.¹²⁹ მეუღლეთა საერთო ქონების ქორწინების განმავლობაში გაყოფისას, გაყოფის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ის ქონება, რაც მათ მიერ შეძენილია გაყოფის მომენტამდე. იგი არ შეიძლება შეეხოს მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებს მომავლისათვის.¹³⁰ ქონების ის ნაწილი, რომელიც არ გაყოფილა და აგრეთვე, ქონება, რომელსაც მეუღლეები

¹²⁵ ლობჯანიძე დ., მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებანი, მართლმსაჯულება და კანონი, №2 (37) 2013, 25.

¹²⁶ გაბუნია მ., მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის სამართლებრივი სტანდარტი ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, №1(3), 2015, 29.

¹²⁷ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2015, 124.

¹²⁸ იქვე.

¹²⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1164-ე მუხლი.

¹³⁰ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004, 165.

მომავალში შეიძენენ, ჩაითვლება მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუკი საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული.¹³¹

მეუღლეები ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის საკითხს, მაგრამ თუ მათ შორის შეთანხმება ვერ შედგა, მაშინ სასამართლო განსაზღვრავს, თუ რომელი ნივთი, რომელ მეუღლეს უნდა მიაკუთვნოს.¹³²

მეუღლეთა თანასაკუთრებაზე და მის გაყოფაზე საუბრისას, რა თქმა უნდა, ყოველთვის მხედველობაში გვაქვს მეუღლეთა მიერ ქორწინების პერიოდში შეძენილი საერთო ქონება. კანონი არ ითვალისწინებს განსხვავებულ რეგულაციას საერთო ქონებაში არსებულ მოძრავი და უძრავი ნივთების გაყოფასთან დაკავშირებით. თუმცა, კანონმდებელი ცალკე გამოყოფს პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთების გაყოფის წესს და ადგენს, რომ ასეთი ნივთები (მუსიკალური ინსტრუმენტები, საექიმო მოწყობილობა, ბიბლიოთეკა და ა.შ.), თუნდაც ქორწინების პერიოდში იყოს შეძენილი მეუღლეთა საერთო სახსრებით, გადაეცემა იმ მეუღლეს, რომელსაც ეს ნივთები თავისი საქმიანობისათვის სჭირდება.¹³³

საოჯახო კანონმდებლობა ყველა ქონებრივ ურთიერთობაში გამოდის მეუღლეთა სრული თანასწორობის პრინციპიდან. შესაბამისად, გაყოფის გზით მეუღლეთა თანასაკუთრების შეწყვეტისას მათი წილი თანაბარია.¹³⁴ თუ საერთო ქონების გაყოფისას ერთ-ერთ მეუღლეს გადაეცა ისეთი ნივთები, რომელთა ღირებულებაც მის კუთვნილ წილს აღემატება, მაშინ მეორე მეუღლეს მიეცემა შესაბამისი ფული ან სხვაგვარი კომპენსაცია.¹³⁵ ამასთან, სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის პრინციპს, თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვანი შვილის ან/და ერთ-ერთი მეუღლის ყურადსადები ინტერესები.¹³⁶ ამ საკითხს, დაწვრილებით, ქვემოთ (2.3 პარაგრაფი) მიმოვიხილავთ და მასზე აქ აღარ შევჩერდებით.

სამოქალაქო კოდექსი თანასაკუთრების რეჟიმის დადგენისას გამოდის იმ დებულებიდან, რომ ასეთი ქონება შეძენილია მეუღლეთა საერთო შრომითა და

¹³¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1167-ე მუხლი.

¹³² იქვე, 1165-ე მუხლი.

¹³³ იქვე.

¹³⁴ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004, 170.

¹³⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1166-ე მუხლი.

¹³⁶ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004, 170.

მეცადინეობით.¹³⁷ აქედან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია თანაზიარ საკუთრებად არ ჩათვალოს ქონება, რომელიც ქორწინების პერიოდში, მაგრამ ცალ-ცალკე ცხოვრების დროს ან ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის შემდეგ არის შეძენილი თითოეულის მათგანის მიერ.¹³⁸ ამ საკითხს დაწვრილებით განვიხილავთ მესამე თავში.

განქორწინებულ მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის თაობაზე მოთხოვნისათვის დადგენილია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.¹³⁹ ამ ვადის ათვლასთან დაკავშირებით, უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ სამეზობლო გადაწყვეტა შემდეგი განმარტება: „სასარჩელო ხანდაზმულობა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაში პირს შეუძლია მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების აღდგენა. სარჩელის ხანდაზმულობის საკითხის სწორად შეფასებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოთხოვნის იძულებითი რეალიზაციის ვადის დენის დასაწყისის განსაზღვრას. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ, ე.ი, თუ მოთხოვნის წარმოშობისა და, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს, ამასთან, იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანხვედრაშია. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1171-ე მუხლის საფუძველზე, ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ობიექტური მომენტი განქორწინების რეგისტრაცია, ვინაიდან, განქორწინებული მეუღლეებისათვის იმთავითვე ცნობილი უნდა იყოს მოთხოვნის უფლების არსებობის თაობაზე, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მხარეებს შორის ქონებრივი დავის არსებობა-არარსებობა ერთ-ერთი კრიტერიუმია, რაც განსაზღვრავს განქორწინების საკითხის გადაწყვეტის წესს.“¹⁴⁰

¹³⁷ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2015, 128.

¹³⁸ იქვე, 129.

¹³⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1171-ე მუხლი.

¹⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, №ას-531-505-2013.

2.2. მეუღლეთა საერთო ვალი და თანასაკუთრება

როგორც ზემოთ ავლინებთ (1.2 პარაგრაფი), მეუღლეთა საერთო ქონებას მიეკუთვნება არა მხოლოდ ქორწინების პერიოდში შექმნილი ქონება, არამედ ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის მიერ ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე ვალად აღებული ფული.¹⁴¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცალკე გამოყოფს მეუღლეთა საერთო ვალებისა და ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვის წესს.

მეუღლეთა ვალი შეიძლება იყოს პირადი და საერთო. პირადს განეკუთვნება ვალი, რაც წარმოშობილია ქორწინებამდე, ან თუნდაც ქორწინების განმავლობაში, მაგრამ დაკავშირებულია ერთ-ერთი მეუღლის პირად ინტერესებთან და მიზნად არ ისახავს მეორე მეუღლის ან მთლიანად ოჯახის საჭიროებათა დაკმაყოფილებას.¹⁴² საერთო კი ისეთი ვალია, რომელიც აღებულია ორივე მეუღლის ან ერთ-ერთის მიერ, მაგრამ მეორე მეუღლის ან ოჯახის სხვა წევრთა ინტერესებიდან გამომდინარე. მაგალითად, საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად აღებული სესხი, ოჯახის რომელიმე წევრის სამკურნალოდ ნასესხები ფული და სხვა.¹⁴³

ვალებისთვის პასუხისმგებლობის საკითხი დგება არა მარტო განქორწინებისას, არამედ ქორწინების პერიოდშიც და არა მხოლოდ მაშინ, როცა საერთო ქონება უნდა გაიყოს, არამედ მაშინაც, როცა საერთო ქონების გაყოფის საკითხი საერთოდ არ დამდგარა.¹⁴⁴ პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძვლად, ჩვეულებრივ, მიიჩნევა კრედიტორის მოთხოვნა მეუღლეების ან ერთ-ერთი მათგანის დაუბრუნებელი სესხის დაფარვის, სხვისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ და სხვა.¹⁴⁵

მეუღლეთა საერთო ვალები მათ შორის იყოფა საერთო ქონებაში თითოეულის კუთვნილი წილის თანაზომიერად.¹⁴⁶ ხოლო რაც შეეხება, ერთ-ერთი მეუღლის ვალს/ვალებს, მათ დასაფარავად გადახდევინება შეიძლება მოხდეს მისი ქონებიდან ან/და თანასაკუთრებაში მისი წილიდან, რომელსაც იგი მიიღებდა ქონების გაყოფის შემთხვევაში.¹⁴⁷ ამდენად, კანონი იცავს მეუღლის ქონებრივ ინტერესებს, თუ მეორე

¹⁴¹ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004, 123.

¹⁴² იქვე, 160.

¹⁴³ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2015, 130.

¹⁴⁴ იქვე.

¹⁴⁵ იქვე.

¹⁴⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1169-ე მუხლი.

¹⁴⁷ იქვე, 1170-ე მუხლის პირველი ნაწილი.

მეუღლე მონაწილეობს სხვადასხვა ქონებრივ გარიგებაში თავისი და არა ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე.¹⁴⁸

სამოქალაქო კოდექსის 1170-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს ერთ-ერთი მეუღლის ვალის მეუღლეთა საერთო ქონებიდან გადახდევინების შესაძლებლობას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ, რაც ვალდებულებით იყო მიღებული, გამოყენებულია მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისთვის. კანონმდებელი არ აკონკრეტებს თუ რას მიიჩნევს იგი მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისათვის თანხის გამოყენებად და ამდენად, ამ საკითხის მოწესრიგებას სასამართლოთა შეხედულებას მიანდობს.¹⁴⁹ ტერმინ „საერთო ვალის“ მიღმა იგულისხმება სწორედ ოჯახის მატერიალური კეთილდღეობის მოტივით განმსჭვალული მიზნით ნასესხები ფულადი თანხა.¹⁵⁰ გამომდინარე იქიდან, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების საფუძველზე, „ოჯახის საკეთილდღეოდ ვალის აღების კვალიფიკაცია“ თავად მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებაზეა დამოკიდებული.¹⁵¹ ამდენად, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით¹⁵², ქორწინების განმავლობაში შექმნილ ქონებაზე, მეუღლეთა თანასაკუთრების პრეზუმფციისგან განსხვავებით, მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა პირდაპირ არ ადგენს ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქორწინების განმავლობაში აღებული ვალის მეუღლეთა საერთო ვალად მიჩნევის პრეზუმფციას. ასეთ დროს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ვალის მთელი ოჯახის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე აღებას, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

მეუღლეთა თანასაკუთრებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვის სპეციალურ წინაპირობას ადგენს სამოქალაქო კოდექსის 1170-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევს ერთ-ერთი მეუღლის დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, მეუღლეთა თანასაკუთრებიდან გადახდევინების გზით, თუმცა

¹⁴⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, ლ.ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2000, 125.

¹⁴⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინება №ა-2778-ბ-11-2015.

¹⁵⁰ იქვე.

¹⁵¹ იქვე.

¹⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ივნისის განჩინება, №ას-516-489-2015.

მხოლოდ მაშინ, თუკი განაჩენით დადგინდება, რომ ეს ქონება შეძენილია დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული სახსრებით.¹⁵³ წინააღმდეგ შემთხვევაში, გადახდევინება უნდა გავრცელდეს მხოლოდ ზიანის მიმყენებელი მეუღლის წილზე საერთო საკუთრებაში და მის ინდივიდუალურ საკუთრებაზე.¹⁵⁴ მეორე მეუღლე ამ დროს საერთოდ გამორიცხულია ქონებრივი ვალდებულებებიდან.¹⁵⁵

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ შემთხვევაში, როცა მეუღლეთა საერთო ვალი აღემატება თანაზიარი ქონების ღირებულებას, გადახდევინება შეიძლება გავრცელდეს თითოეული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაზეც.¹⁵⁶

2.3. არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინება თანასაკუთრების გაყოფისას

ზოგადი წესის მიხედვით, რაზეც ზემოთაც ვისაუბრეთ, მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფისას, მეუღლეთა წილი თანაბარია, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.¹⁵⁷ თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს, თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვანი შვილის ინტერესები ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესები.¹⁵⁸ კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდდეს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა, ან/და თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ.¹⁵⁹ ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არა არის აუცილებელი ყველა პირობის კუმულაციურად არსებობა. თუ ერთ-ერთი მათგანი სახეზეა, შესაძლებელია ქონების არათანაბრად გაყოფა.¹⁶⁰

¹⁵³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ივლისის განჩინება, №ას-569-540-2015.

¹⁵⁴ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2015, 131.

¹⁵⁵ იქვე.

¹⁵⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 ივნისის განჩინება, №ას-412-389-2014.

¹⁵⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის პირველი ნაწილი.

¹⁵⁸ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004, 170.

¹⁵⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლი.

¹⁶⁰ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2015, 128.

სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული რეგულაცია, უზრუნველყოფს მეუღლეების და არასრულწლოვნის ქონებრივი უფლებების თანაბრად დაცვას. ამასთან, ერთ-ერთ მეუღლეს, მეორე მეუღლის მიერ საერთო ქონების ოჯახის ინტერესების საზიანოდ განკარგვისას, აძლევს მყარ გარანტიას, რომ საერთო ქონებაში მისი წილი არ შემცირდება. ამდენად, მეუღლეთა საერთო ქონებაში მათი წილის თანაბრობის პრინციპიდან გადახვევა და „არათანაბარი გაყოფა“ ემსახურება მეუღლეთა თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას.

ზემოთ აღნიშნული საფუძვლების არსებობისას, სსკ-ის 1168-ე მუხლის მესამე ნაწილიდან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია აგრეთვე, თითოეული მეუღლის საკუთრებად ცნოს ის ქონება, რომელიც შეძენილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მიღებისათვის აუცილებელია, არსებობდეს ქონება, რომელიც შეძენილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს. ქორწინების რეგისტრაციის ფაქტს ამ შემთხვევაში არ ეკისრება გადამწყვეტი მნიშვნელობა. ივარაუდება, რომ ეს ქონება არ არის შეძენილი ოჯახის ინტერესებისათვის და საერთო სამეურნეო საქმიანობის გაძღოლის მიზნით, ამასთან ერთად, უნდა არსებობდეს ერთ-ერთ მეუღლესთან არასრულწლოვანი შვილების ცხოვრების ფაქტი ან/და მეორე მეუღლის მიერ საერთო ქონების ოჯახის ინტერესების საზიანოდ ხარჯვის ფაქტი.“¹⁶¹

რაც შეეხება, ზემოთ აღნიშნულ, 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ, მეუღლეთა ქორწინების ფაქტობრივად შეწყვეტისა და ცალ-ცალკე ცხოვრების ვადას, ამასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთი საქმის განხილვისას განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე კანონის ანალოგიის სახით გამოყენებულ უნდა იქნას სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, განქორწინებისას სასამართლოს გადაწყვეტილებით მეუღლეს შეიძლება ჩამოერთვას კანონით მემკვიდრეობის უფლება, თუ

¹⁶¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ოქტომბრის განჩინება, № ას-1006-967-2014.

დადასტურებული იქნება, რომ ქორწინება მამკვიდრებელთან ფაქტობრივად სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ სამი წლისა შეწყვეტილი იყო და მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ.¹⁶² აღნიშნული ნორმის მიხედვით, მეუღლის ქონებრივი უფლების გაქარწყლებისათვის კანონმდებელი სავალდებულოდ მიიჩნევს მეუღლეთა შორის ქორწინების ფაქტობრივ შეწყვეტას და მათ ცალ-ცალკე ცხოვრებას სულ ცოტა 3 წლის განმავლობაში.¹⁶³

2.4. მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის სახელშეკრულებო რეჟიმი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მეუღლეებს აძლევს საშუალებას გადაუხვიონ კანონით დადგენილ თანასაკუთრების რეჟიმს და ერთმანეთის მიმართ არსებული, ქონებრივი ურთიერთობები მოაწესრიგონ საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც მეუღლეთა თავისუფალი ნებისა და სურვილის გამოხატულებაა.

სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას. ამ ნორმიდან გამომდინარეობს, რომ საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მეუღლეთა შორის არსებული მხოლოდ ქონებრივი ურთიერთობები. პირადი ურთიერთობები რჩება აღნიშნული ხელშეკრულების მიღმა.

საქორწინო კონტრაქტი წარმოადგენს სამოქალაქო გარიგების საოჯახო სამართლებრივი ხელშეკრულების სახეს. კონტრაქტი არის მეუღლეთა ან დასაქორწინებელ პირთა შორის ვადით ან უვადოთ დადებული გარიგება, რომელიც შეიძლება გაფორმდეს, როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე მისი რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს.¹⁶⁴ საქორწინო ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ქორწინების რეგისტრაციამდე ძალაში შედის მხოლოდ ქორწინების კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციის მომენტიდან, ხოლო ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ, კანონით დადგენილი წესით დადებული კონტრაქტი, ავტომატურად შედის ძალაში მხარეთა

¹⁶² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 14 იანვრის განჩინება, №ას-1155-1084-2012.

¹⁶³ იქვე.

¹⁶⁴ ჭილაშვილი ლ., ქორწინების ფორმები-ზოგადი მიმოხილვა, აკადემიური მაცნე, სამართალი №2, 2013, 100

მიერ მისი ხელმოწერისთანავე. ამდენად, საქორწინო კონტრაქტი მოქმედებაში მოჰყავს ქორწინების ფაქტს და ანიჭებს მას იურიდიულ ძალას.¹⁶⁵ რაც შეეხება ფაქტობრივ ურთიერთობებს (რეგისტრაციის გარეშე), მეუღლეები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას დადონ საქორწინო ხელშეკრულება, ვინაიდან, მეუღლეთა ერთობლივი საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით და არა ხელშეკრულების საფუძველზე.¹⁶⁶ საქორწინო კონტრაქტი აწესრიგებს მეუღლეთა შორის უკვე არსებულ ქონებრივ ურთიერთობებს.

საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შეძენილ ქონებაზე.¹⁶⁷ იგი იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით.¹⁶⁸ ანუ, მის მიმართ კანონი ითვალისწინებს გარიგების რთულ წერილობით ფორმას.

სსკ-ის 1176-ე მუხლის მესამე ნაწილიდან გამომდინარე, საქორწინო კონტრაქტი შეიძლება მოიცავდეს მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის სამი სახის საკუთრებას - თანაზიარს, განცალკევებულს და წილობრივს.¹⁶⁹ კონტრაქტის დადებით მეუღლეებს უფლება აქვთ მხედველობაში არ მიიღონ კანონის მიერ საერთო საკუთრებისთვის დადგენილი რეჟიმი და აღნიშნული საკითხი გადაწყვიტონ თავიანთი შეხედულებისამებრ.¹⁷⁰ კერძოდ, მათ შეუძლიათ გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება, რომელშიც ჩაირიცხება ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონებაც, ან/და მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვან ამგვარ გაერთიანებაზე და დაადგინონ თითოეულის წილობრივი ან განცალკევებული საკუთრება ქონებაზე.¹⁷¹ წილობრივი საკუთრების ბუნება მდგომარეობს მეუღლეთა უფლებაზე საერთო თანაზიარი საკუთრების გარკვეულ ნაწილზე (წილზე), რომელიც გამოიხატება ამ ქონებაში წილობრივი სახით და მასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება სსკ-ის 173-ე მუხლის მიხედვით. წილობრივი და განცალკევებული

¹⁶⁵ თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, თბილისი, 2010, 81.

¹⁶⁶ ნაჭყებია ნ., მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობა: უძრავ ქონებაზე უფლებათა რეგისტრაციის წესი და პირობები საქორწინო კონტრაქტის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, №2, 2008, 80.

¹⁶⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1176-ე მუხლის პირველი ნაწილი.

¹⁶⁸ იქვე, 1174-ე მუხლი.

¹⁶⁹ თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, თბილისი, 2010, 89.

¹⁷⁰ იქვე.

¹⁷¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1176-ე მუხლის მესამე ნაწილი.

საკუთრების დროს, შესაძლებელია დარღვეულ იქნას მეუღლეთა საკუთრებაში არსებულ ქონებაზე თანასწორი უფლებები.¹⁷²

ხელშეკრულების მნიშვნელოვან და აქტუალურ ნაწილს შეადგენს მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილების წესი განქორწინებისას.¹⁷³ საქორწინო კონტრაქტის არსებობისას, მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა ხდება კონტრაქტის შინაარსის მიხედვით, რაც გამორიცხავს ამ საკითხთან დაკავშირებით, დავას მეუღლეთა შორის. მეუღლეებს/დასაქორწინებელ პირებს აქვთ შესაძლებლობა ზუსტად განსაზღვრონ საერთო ქონებიდან თითოეულის კუთვნილი წილი.

კანონმდებელი მეუღლეებს, საერთო ქონებასთან მიმართებით, მართალია აძლევს შესაძლებლობას ხელშეკრულებით შეთანხმდნენ კანონისგან განსხვავებულ წესებზე, მაგრამ ამასთან, იცავს მეუღლეს ერთმანეთის არაკეთილსინდისიერი ქმედებისგან. კერძოდ, სსკ-ის 1179-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ისეთი პირობები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს. კანონმდებელი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ ხელშეკრულების ასეთი პირობების შეცვლის შესაძლებლობას, დაინტერესებული მეუღლის განცხადების საფუძველზე, პატივსადები მიზეზის არსებობისას.¹⁷⁴

თავი III. რეგისტრირებული ქორწინების მნიშვნელობა მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფისას და მასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მეუღლეთა შორის უფლება-მოვალეობების წარმოშობას, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, უკავშირებს მხოლოდ კანონით დადგენილი

¹⁷² თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, თბილისი, 2010, 71-72.

¹⁷³ იქვე, 91.

¹⁷⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1181-ე მუხლი.

წესით რეგისტრირებულ ქორწინებას,¹⁷⁵ რაც შესაბამისად, წარმოადგენს მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველს.¹⁷⁶

მამაკაცისა და ქალის ერთად ცხოვრება, მათ მიერ საოჯახო მეურნეობის ერთად გაძღოლა, ქორწინების რეგისტრაციის გარეშე არ წარმოშობს მეუღლეთა თანასაკუთრებას და ამ პერიოდში შეძენილ ქონებაზე, საოჯახო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ვერ გავრცელდება მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი.¹⁷⁷ მათ მიერ საერთო სახსრებით შეძენილი საგნები განიხილება საერთო წილობრივ საკუთრებად და გაიყოფა სამოქალაქო სამართლის იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება საერთო წილად საკუთრებას (173-ე მუხლი).¹⁷⁸ მეუღლე, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა ქონების შეძენაში, მაგრამ ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატო მიზეზის გამო არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი ვერ განაცხადებს პრეტენზიას ფაქტობრივი თანაცხოვრების პერიოდში მეორე მეუღლის მიერ შეძენილ ქონებაზე, რაც ვფიქრობ, არ არის სამართლიანი. ასეთ ქონებაზე დავის არსებობისას, როგორც აღინიშნა, სასამართლო ვერ იხელმძღვანელებს თანასაკუთრების გაყოფისთვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმებით.

კანონმდებელს არ აინტერესებს ქორწინების რეგისტრაციის გარეშე ფაქტობრივად თანაცხოვრების ხანგრძლივობა, საერთო მეურნეობის გაწვევის ფაქტი, რაც სერიოზულ პრობლემას ქმნის, ვინაიდან მოსახლეობის უმრავლესობა არ ფლობს ინფორმაციას, ქორწინების რეგისტრაციის სამართლებრივი მნიშვნელობის შესახებ ან არ იჩენს ინტერესს მის მიმართ იმ საფუძველით, რომ თავიდანვე გამორიცხავენ მათ შორის დავას ქონებასთან დაკავშირებით.

მოკლედ შევხვით ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობას ზოგადად, მათ შორის, სამართლის სხვა ინსტიტუტებთან მიმართებით.

კანონმდებელი ქორწინების წარმოშობისთვის სავალდებულო პირობად ადგენს მის რეგისტრაციას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში¹⁷⁹, რაც მიზნად ისახავს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ფიზიკური პირების ქონებრივი და

¹⁷⁵ იქვე, 1151-ე მუხლი.

¹⁷⁶ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004, 131.

¹⁷⁷ იქვე, 135.

¹⁷⁸ იქვე.

¹⁷⁹ „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლი.

არაქონებრივი უფლებების დაცვას.¹⁸⁰ რეგისტრირებული ქორწინების საფუძველზე, სახელმწიფოს შეუძლია გააკონტროლოს ქორწინებათა კანონიერება და თავიდან აიცილოს იმ პირთა დაქორწინება, რომელთაც არ შეუძლიათ შემქნან მყარი ოჯახი და ჰყავდეთ სრულფასოვანი შთამომავლობა.¹⁸¹ ქალისა და მამაკაცის ფაქტობრივი თანაცხოვრების პირობებში, სახელმწიფო მოკლებულია შესაძლებლობას გააკონტროლოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლით გათვალისწინებული ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა-არარსებობის ფაქტი. მაგ: ხომ არ აქვს ადგილი ქორწინებას პირდაპირ აღმავალი ან დამავალი შტოს ნათესავეებს შორის, ხომ არ ირღვევა მონოგამიის ანუ ერთქორწინების პრინციპი, რომელიც საოჯახო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია¹⁸² და ა.შ.. თუ დავუშვებთ, რომ მეუღლეთა შორის უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მათი თანაცხოვრება, შესაბამის ორგანოში ქორწინების რეგისტრაციის გარეშე მოგვიწევს გადავჭრათ პრობლემა, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის მიერ საოჯახო მეურნეობის წარმოებამ ორ ან რამდენიმე „მეუღლესთან“, კერძოდ, რა ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება იყოს გადამწყვეტი მათ შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობების წარმოშობისთვის. თუ ვიტყვით, რომ არსებითი მნიშვნელობა აქვს საოჯახო მეურნეობის გაწვევის მიზნით ხანგრძლივ თანაცხოვრებას, რთულია განვსაზღვროთ, რა ვადით ცხოვრება შეიძლება მივიჩნიოთ ხანგრძლივად. თითოეულ მათგანთან უფლება-მოვალეობების წარმოშობა ეწინააღმდეგება მონოგამიის პრინციპს, რომელიც, როგორც ავლნიშნეთ საოჯახო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია და გულისხმობს ორივე სქესის ადამიანის იურიდიულ შესაძლებლობას იმყოფებოდნენ მხოლოდ ერთ რეგისტრირებულ ქორწინებაში.¹⁸³ ამ პრინციპის დარღვევა წარმოადგენს ქორწინების ბათილად ცნობის საფუძველს.¹⁸⁴ ამასთან, როგორც ვიცით, მეუღლეები არიან ერთმანეთის კანონით მემკვიდრეები (სსკ-ის 1136-ე მუხლი), არარეგისტრირებული ქორწინებისას შეიძლება წარმოიშვას დავა მეუღლის მემკვიდრედ ყოფნასთან დაკავშირებით, მამკვიდრებელთან ქორწინებაში ყოფნის

¹⁸⁰ იქვე, მე-3 მუხლის „გ“ პუნქტი.

¹⁸¹ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2015, 73.

¹⁸² ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004, 30.

¹⁸³ იქვე.

¹⁸⁴ იქვე.

დამადასტურებელი დოკუმენტის არარსებობის გამო, თუ მეუღლის სტატუსით მემკვიდრედ ყოფნაზე პრეტენზიას გამოთქვამს რამდენიმე პირი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგისტრირებული ქორწინების მნიშვნელობა საკმაოდ დიდია, სამართლებრივი წესრიგისა და მეუღლეებს შორის წარმოშობილი დავების სასამართლოს გარეშე, კანონის საფუძველზე მოგვარების თვალსაზრისით. თუმცა, მეორე მხრივ, საოჯახო კანონმდებლობით რეგულირებული ურთიერთობის მიღმა რჩებიან პირები, რომლებიც წლების მანძილზე ეწევიან საოჯახო მეურნეობას, უვლიან შვილებს, მათი ყველა ქმედება მიმართულია ოჯახის ერთიანობისკენ და მიუხედავად ამისა, მათ მიერ თანაცხოვრების პერიოდში ერთ-ერთი მეუღლის ან ორივეს სახსრებით შეძენილი ქონების გაყოფისას კანონი არ გვამდევს იმის საშუალებას, რომ გამოვიდეთ ასეთ ქონებაში წილთა თანაბრობის პრინციპიდან.

მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფისას რეგისტრირებული ქორწინების მნიშვნელობასთან დაკავშირებით საინტერესოა უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება¹⁸⁵, სადაც სასამართლომ განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლი (ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობა) ამავე კოდექსის 1158-ე მუხლთან (მეუღლეთა თანასაკუთრება) მიმართებით.

თავდაპირველი მოსარჩელის (ფ.გ-ს) ერთ-ერთ მოთხოვნას საქმის პირველი ინსტანციით განხილვისას წარმოადგენდა იმ ქონების თანამესაკუთრედ ცნობა, რომელიც მისმა ცოლმა მიიღო ჩუქებით მასთან არარეგისტრირებული ქორწინების დროს. პირველი ინსტანციის სასამართლომ მოსარჩელე ცნო სადაო ქონების 1/2-ის მესაკუთრედ, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოწინააღმდეგე მხარეებმა (ი.გ და ა.გ).

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს და ერთ-ერთ მოპასუხეს (ფ.გ--სა და ი.გ-ას) სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლით გათვალისწინებული მეუღლეთა უფლება-მოვალეობები 2005 წლის იანვრიდან წარმოეშვათ, ანუ ფაქტობრივი ქორწინების დღიდან.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით გააკეთა შემდეგი განმარტება: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ-ის) 1151-ე მუხლის

¹⁸⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განჩინება, საქმის №ას-7-7-2016

თანახმად, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება. მიუხედავად ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის არარსებობისა, მხარეებს შორის საქორწინო ურთიერთობის (და შესაბამისად, მეუღლეთა უფლება-მოვალეობების) წარმოშობის მომენტად მათი ფაქტობრივი ქორწინების თარიღი - 2005 წლის იანვარი იქნა მიჩნეული, შემდეგ მოსაზრებათა გამო: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით „ქორწინება გასცდა ფორმალურ ურთიერთობებს, ოჯახური ცხოვრების არსებობა-არარსებობის საკითხი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მჭიდრო პირადი ურთიერთობის რეალურად არსებობის ფაქტზე“ (*Kroon v. the Netherlands*). სასამართლომ 1994 წლის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „ოჯახური ურთიერთობების ცნება არ იზღუდება მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობით და შეიძლება მოიცავდეს სხვა დე ფაქტო ოჯახურ კავშირებს, როდესაც მხარეები ერთად ცხოვრობენ ქორწინების გარეშე“. ცხადია, აქ იგულისხმება ერთად ცხოვრება ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის გარეშე, რასაც ადგილი ჰქონდა განსახილველ შემთხვევაში, მით უფრო, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ ქორწინების რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოება იმ დროისათვის ფ. გ---ას ასაკი იყო. სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ სსკ-ის 1151-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის მომენტთან მიმართებაში, უნდა განიმარტოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე და არა სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.“¹⁸⁶

საკასაციო სასამართლომ არაკანონიერად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ სსკ-ით გათვალისწინებული სხვა წანამდღვრების არარსებობის პირობებშიც, იარსებებდა სადავო უძრავ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველი, რადგან მიუხედავად ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის არარსებობისა, მხარეებს შორის საქორწინო ურთიერთობის (და შესაბამისად, მეუღლეთა უფლება-მოვალეობების) წარმოშობის მომენტი უკავშირდება მათი ფაქტობრივი ქორწინების თარიღს და აღნიშნა შემდეგი: „მოქმედი სსკ-ის 1151-ე მუხლი მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების ფაქტს უკავშირებს მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობას და მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის

¹⁸⁶ იხ. იგივე განჩინება.

მომენტთან მიმართებაში, მითითებული ნორმის სხვაგვარი განმარტება ეწინააღმდეგება მის ნორმატიულ შინაარსს. ამ მოსაზრების გასამყარებლად არც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე: *Kroon v. the Netherlands* გამოყენებული განმარტებაა სამართლებრივად ვარგისი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთაშორისო პრეცედენტული სამართლის მოხმობა შიდაეროვნულ გადაწყვეტილებებში, უფრო მეტ დასაბუთებულობას მატებს გადაწყვეტილებას და ამდენად, მიზანშეწონილია, თუმცა მისი სწორად გამოყენებისათვის აუცილებელ წინაპირობას კონკრეტულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური შესწავლა წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ პრეცედენტული სამართლის არასწორ გამოყენებას.¹⁸⁷

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში ცალსახად კანონიერია, ვინაიდან სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლის რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან.¹⁸⁸ სამართლებრივი ურთიერთობა კი, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე, ანუ ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს.¹⁸⁹ შესაბამისად, სასამართლო გვერდს ვერ აუვლის და ვერც სხვაგვარად განმარტავს სსკ-ის 1151-ე მუხლს, რომელიც მეუღლეთა შორის უფლება-მოვალეობების წარმოშობის აუცილებელ პირობად ადგენს ქორწინების რეგისტრაციას. რაც შეეხება კრონისა და ნიდერლანდების საქმეს, ამ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს დაბადების მოწმობაში ბავშვის მამის მონაცემების სისწორე, კერძოდ, სამოქალაქო აქტების მარეგისტრირებელმა ორგანომ, ნიდერლანდების კანონმდებლობის შესაბამისად, ბავშვის მამად მიუთითა ომარ მჰალემ-დრისი, რომელთანაც ბავშვის დედა- კრონი იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში, თუმცა, ბავშვის დაბადების მომენტისთვის მათ შორის ქორწინება ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო და ბავშვის მამად მისი ბიოლოგიური მამის - ზერუკის, რომელიც კრონის ფაქტობრივ მეუღლეს წარმოადგენდა, მითითებაზე რეგისტრატორმა უარი განაცხადა კრონსა და მისი

¹⁸⁷ იხ. იგივე განჩინება.

¹⁸⁸ სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი პირველი, თ.თოდრიას რედაქტორობით, თბილისი, 2014, 258.

¹⁸⁹ იქვე.

ოფიციალური მეუღლის განქორწინების შემდეგაც, თუ იგი არ უარყოფდა ბავშვის მამობას.¹⁹⁰ ამდენად, ეს საქმე არსობრივად განსხვავდება უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული, ზემოთ აღნიშნული საქმისგან, რის გამოც ვერ მოხდებოდა მისი ანალოგიის სახით გამოყენება.

ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობაზე საუბრისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამოქალაქო კოდექსი მართალია, არ აღიარებს ფაქტობრივ ქორწინებას, თუმცა, მხოლოდ რეგისტრაციის ფაქტსაც არ უკავშირებს სამართლებრივ შედეგებს. მაგალითად, ბათილია რეგისტრირებული ქორწინება, რომელიც არ ისახავს მიზნად ოჯახის შექმნას¹⁹¹. ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებით მეუღლეს შეიძლება ჩამოერთვას კანონით მემკვიდრეობის უფლება, თუ დადასტურებული იქნება, რომ ქორწინება მამკვიდრებელთან ფაქტობრივად სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ სამი წლისა შეწყვეტილი იყო და მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ.¹⁹²

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში¹⁹³ განმარტა, რომ ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა მიერ შეძენილ ქონებაზე თანასაკუთრების რეჟიმის დაწესებით, კანონმდებელი ხელმძღვანელობს იმ ვარაუდით, რომ როგორც წესი, ასეთი ქონება იქმნება მეუღლეთა ერთობლივი სახსრებით, საოჯახო მეურნეობის ერთობლივი გაძლიერება და ერთობლივი შრომით, მიუხედავად იმისა, ვის სახელზეა იგი შეძენილი ან რომელი მეუღლის მიერ არის გადახდილი თანხა. შესაბამისად, მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების (თანასაკუთრების) გაყოფისას, მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის არსებობა არ იწვევს სამართლებრივ შედეგებს, აუცილებელია მეუღლეთა ერთ ოჯახად ცხოვრება, ქონების შექმნა უნდა მოხდეს ოჯახის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. ერთ ოჯახად ცხოვრება არ გულისხმობს აუცილებლად ერთ სახლში ცხოვრებას, ვინაიდან, სსკ-ის 1157-ე მუხლის თანახმად, თითოეულ მეუღლეს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ოჯახის ინტერესებს.

¹⁹⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 27 ოქტომბრის განჩინება საქმეზე, KROON AND OTHERS v. THE NETHERLANDS , 7-10 პარაგრაფი.

¹⁹¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1140-ე მუხლის პირველი ნაწილი.

¹⁹² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლი.

¹⁹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განჩინება, საქმის № ას-7-7-2016.

ზემოთ აღნიშნული საქმის (Kroon v. the Netherlands) გარდა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთი საქმის განხილვისას აღნიშნა, რომ „ოჯახური ცხოვრების“ ცნება არ შემოიფარგლება მხოლოდ ქორწინების საფუძველზე შექმნილი ოჯახებით და შეიძლება, მოიცვას სხვა დე ფაქტო ურთიერთობები და როდესაც წყდება, შეიძლება თუ არა, ურთიერთობა შეადგენდეს „ოჯახურ ცხოვრებას“, რიგი ფაქტორებისა შეიძლება იყოს ამასთან კავშირში, მათ შორის: ცხოვრობს თუ არა წყვილი ერთად, მათი ურთიერთობის ხანგრძლივობა, და გამოავლინეს თუ არა მათ თავიანთი ვალდებულება ერთმანეთის მიმართ ბავშვების ერთად ყოლით ან რაიმე სხვა საშუალებით.¹⁹⁴

ამრიგად, მეუღლეთა ფაქტობრივი თანაცხოვრება სამართლებრივ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების არსებობისას, თუმცა მისი როლი და მნიშვნელობა მაინც იკვეთება.

იმისათვის, რომ არ დაირღვეს იმ პირთა ქონებრივი უფლებები, რომლებმაც ოჯახის შექმნის მიზნით დაიწყეს თანაცხოვრება და საოჯახო მეურნეობის წარმოება, ასეთი თანაცხოვრებისათვის იურიდიული ძალის მინიჭების გარეშე ვფიქრობ, კანონმდებელს რეგისტრირებული ქორწინების დაკანონების პირობებშიც შეუძლია განსაზღვროს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა არსებობისას არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს შეეძლებათ ერთად ცხოვრების პერიოდში შექმნილ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლებით სარგებლობა. დავის არსებობისას, კანონმდებლობა სასამართლოს უნდა აძლევდეს ასეთ ქონებაზე, როგორც მეუღლეთა თანასაკუთრებაზე მსჯელობის შესაძლებლობას.

¹⁹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი, კვლევებისა და ანალიზის ცენტრი, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა, 2017, 118.

თავი IV. მეულლეთა თანასაკუთრების მომწესრიგებელი ნორმები

სხვა ქვეყნების მაგალითზე

უცხოეთში მოქმედი ქვეყნების კანონმდებლობა ერთმანეთისგან განასხვავებს მეულლეთა ქონების სახელშეკრულებო და ლეგალურ რეჟიმებს.¹⁹⁵

მეულლეთა ქონების ლეგალური რეჟიმი იყოფა სამ კატეგორიად: „ერთიანობის რეჟიმი“, „განცალკევებული რეჟიმი“, პირობითი ერთიანობის რეჟიმი“.¹⁹⁶

მეულლეთა ქონების „ერთიანობის რეჟიმი“ მოქმედებს საფრანგეთში, შვეიცარიაში, ესპანეთში, ნიდერლანდებში, ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში, აშშ-ს რვა შტატში.¹⁹⁷ „განცალკევებული რეჟიმი“ კი, განმტკიცებულია ინგლისში, აშშ-ს უმრავლეს შტატში, ავსტრიაში, იაპონიაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და ამ რეჟიმისთვის დამახასიათებელია მეულლეთა ქონების განცალკევება, კერძოდ, ქორწინებამდე შეძენილი ქონება, ასევე, ქორწინების განმავლობაში ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონება და მისგან მიღებული შემოსავალი ითვლება მეულლეთა ინდივიდუალურ საკუთრებად და თითოეული მათგანის მიერ დამოუკიდებლად იმართება.¹⁹⁸ ხოლო რაც შეეხება „პირობითი ერთიანობის რეჟიმს“, იგი მიღებულია გერმანიაში, სკანდინავიის ქვეყნებში.¹⁹⁹ გერმანიის კანონმდებლობის თანახმად, მეულლეთა საერთო ქონებაში გაყოფილად რჩება როგორც მეულლეთა საკუთრებაში ქორწინებამდე არსებული, ისე ქორწინების შემდეგ შეძენილი ქონება და მეულლეთაგან თითოეული თავის წილ ქონებას დამოუკიდებლად განკარგავს, მაგრამ მეულლის თანხმობა საჭიროა მაშინ, როდესაც ხდება მთელი ქონების განკარგვა.²⁰⁰ ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში ე.წ. „მატება“, ანუ ქორწინების დაწყებიდან დამთავრების მომენტისთვის არსებული ქონებრივი სხვაობა, უნდა გათანაბრდეს და თუ ერთი

¹⁹⁵ ხვედელიანი დ., საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების ზოგიერთი კოლიზიური საკითხის რეგულირების თავისებურებანი საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, №2, 2007, 97.

¹⁹⁶ იქვე.

¹⁹⁷ იქვე.

¹⁹⁸ იქვე.

¹⁹⁹ იქვე.

²⁰⁰ იქვე.

მეუღლის ქონების „მატება“ აღემატება მეორესას, ეს უკანასკნელი იღებს ნამატი ქონების ნახევარს, როგორც გათანაბრების მოთხოვნას.²⁰¹

როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობა ქორწინების სხვადასხვა ფორმას სცნობს: სახელმწიფო ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება, სამოქალაქო და საეკლესიო ქორწინება, ქორწინების მხოლოდ საეკლესიო ფორმა.²⁰² მეუღლეთა შორის საოჯახო კანონმდებლობით გათვალისწინებული ქონებრივი უფლება-მოვალეობების წარმოშობა დამოკიდებულია სწორედ ქორწინების კანონით დადგენილ ფორმებზე. ზოგიერთი ქვეყნის სამართალი შეიცავს დებულებებს, რომლებიც აღიარებს ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობებსაც, მაგალითად, ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნები, სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოები და სხვა²⁰³.

საინტერესოა, ფაქტობრივ ქორწინებასთან დაკავშირებით, სხვადასხვა ქვეყნის მიდგომები. განვიხილოთ რამდენიმე ქვეყნის კანონმდებლობა.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს როგორც რეგისტრირებულ პარტნიორებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს, ასევე განსაზღვრავს „არაფორმალური ურთიერთობის“ (concubinage) დეფინიციას.²⁰⁴ საფრანგეთის კანონმდებლობის თანახმად, არაფორმალური ურთიერთობა (concubinage) ეს არის ორი დაუქორწინებელი, სხვადასხვა სქესის ან ერთიდაიმავე სქესის წარმომადგენლების უწყვეტი და სტაბილური თანაცხოვრება, ფაქტობრივი კავშირი.²⁰⁵ კანონი არ განსაზღვრავს თუ რა ხანგრძლივობის ურთიერთობა შეიძლება მივიჩნიოთ სტაბილურ და უწყვეტ თანაცხოვრებად²⁰⁶, თუმცა ცალსახაა, რომ ქორწინების გარეშე თანაცხოვრებად არ ითვლება ხანმოკლე თანაცხოვრება²⁰⁷.

რაც შეეხება საკუთრებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, საფრანგეთში მოქმედებს მეუღლეთა ქონების „ერთიანობის რეჟიმი“. მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება ითვლება მათ საერთო

²⁰¹ იქვე.

²⁰² იქვე, 95.

²⁰³ იქვე.

²⁰⁴ F. Ferrand, L. Francoz-Terminal, NATIONAL REPORT: FRANCE, Informal relationships – FRANCE, 2015, 1-2, „ <http://ceflonline.net/wp-content/uploads/France-IR.pdf> „ [30.06.2019].

²⁰⁵ იქვე, 2.

²⁰⁶ იქვე.

²⁰⁷ იქვე, 5.

ქონებად, ხოლო ქონება, რომელიც ეკუთვნოდათ ქორწინებამდე ან შეიძინეს ქორწინების განმავლობაში ჩუქებით ან მემკვიდრებით, წარმოადგენს მათ განცალკევებულ საკუთრებას.²⁰⁸ საფრანგეთის კანონმდებლობა არაფორმალურ ურთიერთობაში მყოფი პირების საკუთრების მიმართ არ ადგენს სპეციალურ წესებს.²⁰⁹ ასეთი პირების განქორწინებისას მოქმედებს სანივთო სამართლით დადგენილი ზოგადი წესები.²¹⁰ მათი საკუთრების ფორმები განისაზღვრება საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რომელითაც შეიძლება დადგინდეს, რომ ქონება შეძენილია თანამაცხოვრებელთა მიერ, მემკვიდრეობის ან/და ჩუქების საფუძველზე.²¹¹ თანაცხოვრების პერიოდში, ერთ-ერთი პარტნიორის მიერ შეძენილი, მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონება ითვლება მის განცალკევებულ საკუთრებად.²¹² თითოეული, ყოფილი თანამაცხოვრებლის მიერ აქტივის ფლობის ფაქტი დგინდება საკუთრების უფლების, ზემოთ აღნიშნული, სამართლებრივი დოკუმენტიდან, თუმცა არსებობს გარკვეული შეზღუდვები.²¹³ კერძოდ, ერთ-ერთი თანამაცხოვრებლის მიერ საერთო ფულადი სახსრებით შეძენილი ქონება, როდესაც თითოეული პარტნიორის ფულადი რესურსების წარმოშობა დეკლარირებულია, ჩაითვლება საერთო საკუთრებად.²¹⁴ ასევე, ქონების ერთიანობის რეჟიმი გამოიყენება ნებისმიერ შენობაზე, რომელიც მდებარეობს ერთ-ერთი თანამაცხოვრებლის მფლობელობაში არსებულ მიწაზე და ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არ აქვს ფინანსური სახსრების წარმოშობას.²¹⁵ თუ თანამაცხოვრებელი აშენებს შენობას მეორე თანამაცხოვრებლის მიწაზე, შენობა იქნება იმ მაცხოვრებლის საკუთრება ვისიგაა მიწა, თუმცა მეორე მაცხოვრებელს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.²¹⁶ ქონების ერთობლივი შეძენის შემთხვევაში თითოეული პარტნიორის საკუთრება

²⁰⁸ იბ. „ <http://www.coupleseurope.eu/en/france/topics/2-is-there-a-statutory-matrimonial-property-regime-and-if-so-what-does-it-provide> „ [30.06.2019].

²⁰⁹ F. Ferrand, L. Francoz-Terminal, NATIONAL REPORT: FRANCE, Informal relationships – FRANCE, 2015, 28, „ <http://ceflonline.net/wp-content/uploads/France-IR.pdf> „ [30.06.2019].

²¹⁰ იქვე.

²¹¹ იქვე.

²¹² Ch. Butruille-Cardew, Family law in France: overview, J. Stewart, Practical Law Country Q&A 6-615-3545 2019, 30.

²¹³ Frédérique Ferrand, Laurence Francoz-Terminal, NATIONAL REPORT: FRANCE, Informal relationships – FRANCE, 2015, 28, „ <http://ceflonline.net/wp-content/uploads/France-IR.pdf> „ [30.06.2019].

²¹⁴ იქვე.

²¹⁵ იქვე.

²¹⁶ იქვე.

განსაზღვრულია, მათი წილის შესაბამისად, ხოლო იმ შემთხვევაში თუ საკითხი სადავო გახდა და არ არის სახეზე შესაბამისი მტკიცებულებები, საკუთრება იყოფა თანაბრად.²¹⁷

გერმანიის საოჯახო სამართალი არ ვრცელდება არაფორმალურ ურთიერთობებზე და არც საოჯახო სამართლის ზოგადი ნორმების ანალოგიის სახით გამოყენება დასაშვებია ასეთი ურთიერთობების მიმართ.²¹⁸

გერმანიის საოჯახო კანონმდებლობა არ ადგენს განქორწინებისას, დაუქორწინებელი წყვილების საკუთრების გაყოფის სპეციალური წესებს.²¹⁹ მათი საკუთრების მიმართ გამოიყენება სანივთო სამართლის ზოგადი წესები.²²⁰

დაუქორწინებელი მეუღლეები შეიძლება ფლობდნენ ქონებას ერთობლივად ან ცალკე, განცალკევებული საკუთრების სახით. ქონება, რომელიც შეძენილია ერთ-ერთი მეუღლის მიერ არაფორმალურ პარტნიორობამდე, რჩება მის განცალკევებულ საკუთრებაში, ხოლო რაც შეეხება, ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილ ქონებას, იგი ითვლება საერთო ქონებად, თუ შეძენილია, როგორც თანასაკუთრება ორივე მეუღლის მიერ საერთო სახსრებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ქონება წარმოადგენს იმ მეუღლის საკუთრებას, რომელმაც, როგორც პირადი საკუთრება, შეიძინა მარტომ, საკუთარი ფინანსებით. მეუღლეთა თანაცხოვრების შეწყვეტისას, ქონება შესაბამისად, გაიყოფა იმის მიხედვით, მეუღლეთა საერთო ქონებას წარმოადგენს იგი თუ განცალკევებულს.²²¹

მეუღლეები როგორც წესი ითვლებიან ერთობლივ საცხოვრებელში განთავსებული იმ ნივთების თანამფლობელებად, რომლებიც არ არის პირადი მოხმარებისთვის განკუთვნილი. გერმანიის კანონმდებლობით, მოძრავი ნივთების მიმართ მოქმედებს პრეზუმფცია, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე, თუმცა აღნიშნული პრეზუმფცია შეიძლება უარყოფილ იქნას, თუ ერთ-ერთი მეუღლე დაამტკიცებს, რომ იგი არაფორმალურ ურთიერთობამდე იყო ამ ნივთის ერთადერთი მესაკუთრე ან თანაცხოვრების პერიოდში შეიძინა იგი პირადად, საკუთარი სახსრებით.²²²

²¹⁷ იქვე.

²¹⁸ N. Dethloff, D. Martiny, M. Zschoche, NATIONAL REPORT: GERMANY, Informal relationships – GERMANY, 2015, 2, „ <http://ceflonline.net/wp-content/uploads/Germany-IR.pdf> „ [30.06.2019].

²¹⁹ იქვე, 23.

²²⁰ იქვე.

²²¹ იქვე.

²²² იქვე.

ხორვატიის კანონმდებლობა არეგულირებს როგორც რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი განსხვავებული და ერთი სქესის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობებს, ასევე, აწესრიგებს არაფორმალურ ურთიერთობებს.²²³ არაფორმალურ ურთიერთობები ხორვატიაში წესრიგდება სპეციალური საკანონმდებლო აქტებით. კერძოდ, განსხვავებული სქესის წყვილებს შორის არაფორმალური ურთიერთობას არეგულირებს ხორვატიის საოჯახო აქტი, ხოლო ერთსქესიანთა შორის ხორვატიის პარტნიორთა აქტი (Croatian Partnership Act).

ხორვატიის საოჯახო აქტი არაფორმალურ ურთიერთობად განსაზღვრავს დაუქორწინებელ ქალსა და მამაკაცს შორის კავშირს, რომელიც გრძელდება მინიმუმ სამი წლის განმავლობაში, ან ნაკლები დროით თუ ყავთ საერთო შვილი, ან თუ ურთიერთობა დამთავრდება ქორწინებით.²²⁴

ხორვატიის საოჯახო აქტის თანახმად, თანაცხოვრების დროს მეუღლეთა შრომითი საქმიანობიდან და ასევე, სხვა გზით შეძენილი ყოველგვარი ქონება წარმოადგენს მათ თანასაკუთრებას და გაყრის შემთხვევაში მათ შორის იყოფა თანაბრად. მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებად ითვლება ქონება, რომელიც მათ ეკუთვნოდათ თანაცხოვრების დაწყებამდე ან შეიძინეს ერთად ცხოვრების პერიოდში სხვა რომელიმე წყაროდან, რომელიც არ უკავშირდება მათ შრომით საქმიანობას, მაგალითად, მიიღეს მემკვიდრეობით, ჩუქებით და ა.შ. გაყრის შემთხვევაში, აღნიშნული ქონება რჩება მათ პირად საკუთრებაში.²²⁵

არაფორმალური ურთიერთობის ცნებას განსაზღვრავს უნგრეთის სამოქალაქო კოდექსიც, რომლის თანახმად, ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში მყოფ პირებად ითვლებიან პირები, რომლებიც რეგისტრირებული ქორწინების გარეშე ცხოვრობენ ერთად, ეწევიან საერთო საოჯახო მეურნეობას, მათი ურთიერთობა ეფუძვნება ურთიერთპატივისცემას და აქვთ საერთო ეკონომიკური ინტერესები.²²⁶ ამასთან, არც ერთი მათგანი არ უნდა თანაცხოვრობდეს, იმყოფებოდეს რეგისტრირებულ

²²³ B. Rešetar, N. Lucić, NATIONAL REPORT: CROATIA, Informal relationships – CROATIA, 2015, 1, „<http://ceflonline.net/wp-content/uploads/Croatia-IR1.pdf> „ [30.06.2019].

²²⁴ იქვე, 3.

²²⁵ იქვე, 22.

²²⁶ O. Szeibert, NATIONAL REPORT:HUNGARY, Informal relationships – HUNGARY, 2015, 4, „<http://ceflonline.net/wp-content/uploads/Hungary-IR.pdf> „ [30.06.2019].

ქორწინებასა და რეგისტრირებულ პარტნიორობაში მესამე პირთან, ასევე, არ შეიძლება იყვნენ ერთმანეთის პირადაპირი ხაზის ნათესავები ან და-ძმები.²²⁷

მეუღლეთა თანაცხოვრების დროს წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს უნგრეთში არეგულირებს უნგრეთის სამოქალაქო კოდექსის ორი წიგნი: ვალდებულებითი სამართალი და საოჯახო სამართალი. ვალდებულებითი სამართალი ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ მეუღლეთა თანაცხოვრებას განიხილავს, როგორც სპეციალურ კონტრაქტს, რომლითაც შეუძლიათ ერთმანეთს შორის მოაწესრიგონ ქონებრივი ურთიერთობები.²²⁸ რაც შეეხება საოჯახო სამართალს, იგი აღნიშნული ურთიერთობის მიმართ ადგენს საკუთრების რეჟიმს, რომლის თანახმადაც, მეუღლეები ითვლებიან თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ნებისმიერი ქონების მესაკუთრეებად. თანაცხოვრების შეწყვეტის შემთხვევაში, მეუღლეთა მიერ ერთად ცხოვრების პერიოდში, საერთო სახსრებით შეძენილი ქონება მათ შორის იყოფა ამ ქონების შეძენაში მათი წილის პროპორციულად. თანაცხოვრების პერიოდში ქონების შეძენისას ითვლება, რომ ამ ქონების შეძენაში თავისი წვლილი შეაქვს იმ მეუღლესაც, რომელიც ეწევა საოჯახო საქმიანობას და უვლის შვილებს, ხოლო თუ შეუძლებელია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში დადგინდეს თითოეული მეუღლის წილი ქონებაში, იგი გაიყოფა თანაბრად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ქონების ასეთი დაყოფა გამოიწვევს უსამართლობას და არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენებს მეორე მეუღლეს.

²²⁷ იქვე.

²²⁸ იქვე, 2.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განვიხილეთ მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი და წამოვჭერთ მასთან დაკავშირებული პრობლემები, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს და საკანონმდებლო რეგულირებას ითხოვს ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი მეუღლეების მიერ ერთად შეძენილ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრებისათვის საოჯახო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების გავრცელების არარსებობა.

ქორწინებისთვის იურიდიული ძალის მიცემას დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი წესრიგისთვის, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ (3.1 პარაგრაფი). სახელმწიფომ შეიძლება სხვადასხვა ფაქტს დაუკავშიროს მეუღლეთა შორის უფლება-მოვალეობების წარმოშობა, მაგალითად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სცნობენ ქორწინების შემდეგ ფორმებს:

1. სახელმწიფო ორგანოებში რეგისტრირებული ქორწინება;
2. ალტერნატიული საფუძვლით დადებული ქორწინება. ამ ფორმას მიეკუთვნება ქვეყნები, სადაც გათანაბრებულია, როგორც სახელმწიფო ორგანოებში, ისე საეკლესიო წესით რეგისტრირებული ქორწინება;
3. ქორწინების მხოლოდ საეკლესიო ფორმა,²²⁹ თუმცა, ვფიქრობ, მეუღლეთა შორის თანასაკუთრების წარმოშობა არ უნდა იყოს დამოკიდებული ზემოთ აღნიშნულ ქორწინების რომელიმე ფორმაზე.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, კანონმდებელი მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის ფაქტს არ უკავშირებს მეუღლეთა საერთო ქონების წარმოშობას. კერძოდ, თუ რეგისტრირებულ მეუღლეებს შორის ქორწინება ფაქტობრივად შეწყვეტილია, ანუ ისინი აღარ ეწევიან საერთო საოჯახო მეურნეობას და ქონება არ არის შეძენილი ერთობლივი შრომის შედეგად ასეთ პირობებში შეძენილ ქონებაზე ვერ გავრცელდება

²²⁹ ქილაშვილი ლ., ქორწინების ფორმები-ზოგადი მიმოხილვა, აკადემიური მაცნე, სამართალი №2, 2013, 100.

მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი.²³⁰ შეწყვეტილია თუ არა ფაქტობრივად მეუღლეებს შორის ქორწინება უნდა დადგინდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, თუკი მეუღლეებს აკავშირებთ ხანგრძლივი თანაცხოვრება, ეწვეიან საერთო საოჯახო მეურნეობას და ამასთან, სახეზე არ გვაქვს რეგისტრირებული ქორწინებისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1140-ე მუხლით დადგენილი ქორწინების ბათილობის საფუძვლები, მხოლოდ რეგისტრაციის ფაქტის არარსებობა რატომ უნდა გახდეს, მათი ერთად ცხოვრების პერიოდში, ერთობლივი სახსრებით შეძენილ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის გავრცელების ხელისშემშლელი მიზეზი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, სასამართლოს მიერ საოჯახო საქმეების განხილვა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება,²³¹ რასაც განაპირობებს ის ფაქტი, რომ საოჯახო ურთიერთობების განვითარებითა და სიმტკიცით დაინტერესებულია მთელი საზოგადოება.²³² სასამართლოს, რომელიც იხილავს კონკრეტულ საოჯახო დავას, მინიჭებული აქვს უფლება, თვითონ, თავისი ინიციატივით მიიღოს ყველა ზომა, რათა, დაადგინოს საქმის სწორად გადაწყვეტისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და გამოიტანოს სამართლიანი გადაწყვეტილება.²³³ იმისათვის, რომ არ დაირღვეს იმ პირთა ქონებრივი უფლებები, რომელთა წვლილი საოჯახო მეურნეობის გაძლოლასა და ოჯახის კეთილდღეობისკენ მიმართულ ქმედებებში თანაბარია, აუცილებელია კანონმა უზრუნველყოს ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი პირების ქონებრივი უფლებების დაცვა, ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის გავრცელებით. ამისათვის, შესაბამისი ცვლილება უნდა მოხდეს სამოქალაქო კოდექსში და დავის არსებობისას, სასამართლოს უნდა მიეცეს შესაძლებლობა საქმეში არსებულ კონკრეტულ გარემოებაზე დაყრდნობით იმსჯელოს არარეგისტრირებულ მეუღლეებს შორის ქონებრივი უფლებების წარმოშობაზე. სასამართლომ ამ საკითხის განხილვისას შეიძლება გაითვალისწინოს ერთად ცხოვრების

²³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინება, №ას-1169-1089-2017.

²³¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIII თავი, 352-356 მუხლები.

²³² ბასილაია ფ., საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მართლმსაჯულება და კანონი, №4 (23) 2009, 30.

²³³ იქვე.

მიზანი, ხანგრძლივობა, საერთო საოჯახო საკითხების გადაწყვეტაში ორივეს მონაწილეობა, ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე ერთობლივი შრომა და ა. შ..

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
3. საქართველოს კანონი „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“;
4. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით, თბილისი, 2010.;
5. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ საკანონმდებლო წინადადება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით, N626, 17.01.2018. ;
6. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის (N626, 17.01.2018) განმარტებითი ბარათი;
7. ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ წარდგენილ საკანონმდებლო წინადადებასთან დაკავშირებით იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა №4505, 19.03.2018..

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. მეტრეველი ვ., რომის სამართალი (საფუძვლები), თბილისი, 2013. ;
2. გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2010. ;
3. ნადარეიშვილი ნ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბილისი, 1974. ;
4. მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2003. ;
5. ივ.ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისი, 1929. ;
6. დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953. ;
7. ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004. ;
8. შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2015.;
9. ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003. ;

10. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი პირველი, თ. თოდრიას რედაქტორობით, თბილისი, 2014. ;
11. თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, თბილისი, 2010. ;
12. ზოიძე ო., მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი, ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი I, თბილისი, 2004. ;
13. სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2018. ;
14. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, ლ.ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2000. ;
15. გეგენავა დ., ჯვრისწერის აღიარების პრობლემები ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში, სამართლის ჟურნალი, №1, 2015. ;
16. ქანთარია გ., ჯგერენაია ვ., მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, ახალგაზრდა ადვოკატები, იანვარი №8, 2018. ;
17. ხოფერია მ., ქალის უფლებაუნარიანობა ქართული და რომაული სამართლებრივი აზროვნების ჭრილში, სამართლის ჟურნალი, №2, 2009. ;
18. კალანდაძე თ., მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები, მართლმსაჯულება და კანონი, №2 (29), 2011. ;
19. ჩიტოშვილი თ., ვინდიკაცია, როგორც უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დაცვის საშუალება, რომან შენგელია 70, საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, ლ. ჭანტურიასა და ე. შენგელიას რედაქტორობით, თბილისი, 2012. ;
20. ბიჭია მ., მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის დადგენის თავისებურებები საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, №1(61)2019. ;
21. ზარნაძე ე., მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურება, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, ტომი 10, №1, 2007. ;
22. ლობჯანიძე დ., მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებანი, მართლმსაჯულება და კანონი, №2 (37) 2013. ;

23. გაბუნია მ., მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის სამართლებრივი სტანდარტი ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, №1(3), 2015. ;
24. ჭილაშვილი ლ., ქორწინების ფორმები-ზოგადი მიმოხილვა, აკადემიური მაცნე, სამართალი №2, 2013. ;
25. ნაჭყებია ნ., მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობა: უძრავ ქონებაზე უფლებათა რეგისტრაციის წესი და პირობები საქორწინო კონტრაქტის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, №2, 2008. ;
26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი, კვლევებისა და ანალიზის ცენტრი, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა, 2017, 118.;
27. ბასილაია ფ., საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მართლმსაჯულება და კანონი, №4 (23) 2009.;
28. ხვედელიანი დ., საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების ზოგიერთი კოლიზიური საკითხის რეგულირების თავისებურებანი საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, №2, 2007.;
29. F. Ferrand, L. Francoz-Terminal, NATIONAL REPORT: FRANCE, Informal relationships – FRANCE, 2015. „ <http://ceflonline.net/wp-content/uploads/France-IR.pdf> „ [30.06.2019];
30. Ch. Butruille-Cardew, Family law in France: overview, J. Stewart, Practical Law Country Q&A 6-615-3545 2019 ;
31. N. Dethloff, D. Martiny, M. Zschoche, NATIONAL REPORT: GERMANY, Informal relationships – GERMANY, 2015. „ <http://ceflonline.net/wp-content/uploads/Germany-IR.pdf> „ [30.06.2019];
32. B. Rešetar, N. Lucić, NATIONAL REPORT: CROATIA, Informal relationships – CROATIA, 2015. „ <http://ceflonline.net/wp-content/uploads/Croatia-IR1.pdf> „ [30.06.2019] ;

33. O. Szeibert, NATIONAL REPORT:HUNGARY, Informal relationships – HUNGARY, 2015, 4, „<http://ceflonline.net/wp-content/uploads/Hungary-IR.pdf> „, [30.06.2019].

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განჩინება, № ას-7-7-2016 ;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2005 წლის 22 მარტის განჩინება №ას-1094-1336-04 ;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მაისის განჩინება №ას-295-282-2015 ;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება №ას-189-182-2013 ;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 თებერვლის განჩინება, № ას-1136-1067-2012 ;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, №ას-531-505-2013 ;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინება №ა-2778-ბ-11-2015 ;
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ივნისის განჩინება, №ას-516-489-2015;
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ივლისის განჩინება, №ას-569-540-2015 ;
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 ივნისის განჩინება, №ას-412-389-2014 ;
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ოქტომბრის განჩინება, № ას-1006-967-2014 ;
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინება, №ას-1169-1089-2017;

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 14 იანვრის განჩინება, №ას-1155-1084-2012.
14. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 27 ოქტომბრის განჩინება საქმეზე, KROON AND OTHERS v. THE NETHERLANDS , 7-10 პარაგრაფი.

ელექტრონული რესურსები:

1. <http://www.opentext.org.ge/index.php?m=12&y=2011&art=4419> „, [22.06.2019];
2. <http://www.coupleurope.eu/en/france/topics/2-is-there-a-statutory-matrimonial-property-regime-and-if-so-what-does-it-provide> „, [30.06.2019].